



პიტირიმ სოროკინის ინტეგრალური სოციოლოგია

რაც არ უნდა გადამხდეს თავს მომავალში, მე მტკიცედ ვიცი, რომ ცხოვრებიდან მივიღე სამი გაკვეთილი... სიცოცხლე, თუნდაც იგი ძალიან მძიმე და ძნელი იყოს, სამყაროს ყველაზე მშვენიერი, საოცარი და დიდებული განძია – საგანძურია. მოვალეობის აღსრულებაც ასევე მშვენიერია, ვინაიდან სიცოცხლე ბედნიერი ხდება, სული კი იდეალების დაცვისა და ცხოვრებაში დამკვიდრების უწყვეტ ძალას იძენს – აი ჩემი მეორე გაკვეთილი. მესამე კი არის ის, რომ ძალადობას, სიძულვილსა და უსამართლობას არასდროს არ ძალუძს შექმნას დედამიწაზე გონიერების, ზნეობრიობის და თუნდაც მატერიალური კეთილდღეობის სამეფო”.

I. პიტირიმ სოროკინი: პიროვნება და მეცნიერი

პ. სოროკინი დაიბადა 1889 წლის 21 იანვარს რუსეთში, ვოლოგდის გუბერნიის სოფელ ტურიაში. 1909 წელს იგი ჩაირიცხა სანკტ - პეტერბურგის ფსიქონევროლოგიის ფაკულტეტზე, სადაც ცოტა ხნით ადრე ცნობილმა სოციოლოგებმა - ე. ვ. დე რობერტიმ და მ. მ. კოვალევსკიმ სოციოლოგიის პირველი კათედრა გახსნეს. ორივემ დიდი გავლენა მოახდინეს სოროკინის შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ჩამოყალიბების პროცესზე. ერთ წლის შემდეგ იგი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. კრიმინოლოგიისა და სოციოლოგიის სინთეზირებისადმი მისწრაფებამ განსაზღვრა ახალგაზრდა სოროკინის მეცნიერული ინტერესები, მაგრამ ვერ ამოწურა მეცნიერული ინტერესების მთელი სფერო. 1912/13 წწ. ზამთარში მან მოამზადა შრომა, რომელიც როგორც სადიპლომო ნაშრომი დაიცვა: „დანაშაული და სასჯელი, გმირობა და ჯილდო”. შრომამ უკვე მაშინვე შესძინა მომავალ სოციოლოგს მეცნიერის ავტორიტეტი.

რუსული რევოლუციის პერიოდი 1917 წლის თებერვალ-ოქტომბერი და შემდგომი პერიოდებიც პ. სოროკინის ცხოვრებაში ძლიერ დატვირთული იყო ხდომილებებით. იგი ერთდროულად მოქმედებს როგორც მეცნიერი სოციოლოგი და როგორც მოღვაწე-პოლიტიკოსი. ყოველივე ამან პრინციპული მნიშვნელობის როლი ითამაშა მისი პიროვნების უნიკალური თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში. თუ მოვლენებს ცოტათი წინ გავუსწრებთ, აღვნიშნავთ, რომ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებმა იგი საზოგადოების ორი იპოსტასის - „ნორმალურის”, ე.ი. საზოგადოების შედარებითი სტაბილიზაციის პერიოდის (საზოგადოების განვითარების ამ მდგომარეობას შეესაბამება მხოლოდ სოციალური კანონები) და „უბედური – არანორმალურის” (საზოგადოებრივი დესტაბილიზაციის და დეზორგანიზაციის პერიოდის – ომების, შიმშილობის, ეპიდემიების, რევოლუციების და ა.შ., როდესაც ირღვევა „ნორმალური” პერიოდების სოციალურ კანონთა მოქმედება) – მკაცრად გამიჯვნის აუცილებლობაში დაარწმუნა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მას ნაყოფიერი აკადემიური მუშაობის დროს მოუსწრო. სოროკინმა გვერდზე გადაადო ხელნაწერები და წიგნები და შეიძლება ითქვას თავით გადაეშვა პოლიტიკაში. იგი რევოლუციური მოვლენების ეპიცენტრში მოხვდა. იგი ისტორიული მოვლენების ჩართულ დამკვირვებლად იქცა, რაც მის მიერ აღწერილი და გაანალიზებულია მის შრომაში „რუსული დღიურის ფურცლებიდან”. იგი პირდაპირ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო სათათბიროს, ასევე დროებითი მთავრობის მუშაობაში, ორგანიზება გაუკეთა



სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობას, რედაქტირებას უკეთებდა ესერულ გაზეთებს „ხალხის საქმეს“ და „ხალხის ნებას“. რამდენიმე ხნის განმავლობაში იყო ა. კერენსკის პირადი მდივანი. მხოლოდ 1917 წლის განმავლობაში მან დაწერა სოციალურ-პოლიტიკური ტრაქტატების მთელი სერია, რომელსაც ჩვენი ტიპის საზოგადოებისათვის (იგულისხმება პოსტსაბჭოური საზოგადოებები) დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა; ასეთებია: „ეროვნებათა ავტონომია და სახელმწიფოს ერთიანობა“, „მმართველობის ფორმები“, „სოციალური თანასწორობის პრობლემა“, „მომავალი მსოფლიოს საფუძვლები“, „ომის მიზეზები და გზა მშვიდობისაკენ“, „რა არის მონარქია და რა არის რესპუბლიკა?“, „სოციალიზმის არსება“, „ვინ და როგორ უნდა აირჩიოს დამფუძნებელი კრება“.

1918 წლის 2 იანვარს პ. სოროკინი უკვე ბოლშევიკებმა დააპატიმრეს ლენინზე თავდასხმის საბაბის გამო. შემდეგ იმალებოდა რუსეთის ჩრდილოეთში, მაგრამ დარწმუნდა რა ბოლშევიკების ძალაუფლების სიძლიერეში, თუმცა მის უვარგისობაში ღრმად იყო დარწმუნებული, მან დაწერა გახმაურებული ღია წერილი, რომ კავშირს წყვეტს ესერების პარტიასთან და თავს ანებებს პოლიტიკას. ამან საბაბი მისცა ვ. ლენინს დაეწერა ცნობილი სტატია „პიტირიმ სოროკინის ფასეული აღიარებები“.

შეეშვა რა პოლიტიკას, სოროკინმა მთელი თავისი შემოქმედებითი საქმიანობა კვლავაც მეცნიერულ და აკადემიურ სფეროებს დაუკავშირა. იგი მუშაობას იწყებს ჯერ პეტროგრადის პირველ, შემდეგ კი მეორე უნივერსიტეტში. იგი დიდი სულისკვეთებით ცდილობს რუსეთის უნივერსიტეტებში დაამკვიდროს ახალი დისციპლინა – სამშობლომცოდნეობა, რომელიც მოწოდებულია გააერთიანოს ქვეყნის შესახებ არსებული ბუნებისმეცნიერული და ჰუმანიტარული მეცნიერებები. 1919 წელს მან შეძლო პირველად რუსეთში შეექმნა სოციოლოგიის ფაკულტეტი და მისი პირველი დეკანიც გახდა. შემდეგ წელს იგი უკვე უნივერსიტეტის პირველი სოციოლოგი პროფესორია. ამავე წლებში იგი წერს ძალიან ბევრ სტატიას თუ წიგნს სოციოლოგიის აქტუალურ საკითხებზე: ომი, რევოლუცია, შიმშილობა. 1920 წელს გამოდის მისი შემოქმედების რუსული პერიოდის ყველაზე ცნობილი ნაშრომი „სოციოლოგიის სისტემა“.

1922 წელს რუსეთში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. კომუნისტური მთავრობა, ლენინი მწვავედ აყენებს საკითხს საზოგადოებრივი მეცნიერებების პროგრამებისა და კურსების შინაარსებზე კომუნისტური კონტროლის აუცილებლობის შესახებ. რასაც შემდგომში მრავალი თვალსაჩინო მეცნიერის დაპატიმრებები მოყვა. ამან აიძულა პ. სოროკინი 1922 წლის 23 სექტემბერს დაეტოვებინა რუსეთი. ჯერ ცხოვრობს და საქმიანობს ჩეხოსლოვაკიაში, პრღაში, ხოლო 1923 წელს ცნობილი ამერიკელი სოციოლოგების - ე. ჰაიესისა და ე. როსის – მიწვევით კითხულობს ლექციათა სერიას რუსული რევოლუციის შესახებ. იგი საბოლოოდ წყვეტს დარჩეს ამერიკაში. წელიწადზე ნაკლები დრო დასჭირდა მას, რომ აეთვისებინა ინგლისური ენა და ადაპტირება მოეხდინა ამერიკის აკადემიურ წრებთან. უკვე აქედან იწყება მისი შემოქმედების მეორე – ამერიკული პერიოდი. ერთწლიანი პერიოდულობით იგი ზედიზედ აქვეყნებს „რევოლუციის სოციოლოგიას“, „სოციალურ მობილობას“, „თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიებს“ – შემდეგ



კი თავის თანამოაზრე კ. ციმერმანთან ერთად აქვეყნებს „ქალაქისა და სოფლის სოციოლოგიის საფუძვლებს“.

ამერიკულ სოციოლოგიურ და აკადემიურ წრეებში საკმაოდ მტრულად უყურებდნენ, მაგრამ მას ქომაგებიც ბევრი ჰყავდა – როსი, გიდინქსი,

ლ. კოზერი და სხვები. იგი ძალიან პოპულარულ, მაგრამ ოდიოზურ ფიგურად იქცა ამერიკულ სოციოლოგიურ წრეებში.

1930 წელს მტრული დამოკიდებულება საერთოდ გაქრა. ჯერ კიდევ მაშინ მსოფლიოში ცნობილმა ჰარვარდის უნივერსიტეტმა დააარსა სოციოლოგიის ფაკულტეტი და პ. სოროკინს შესთავაზა მისი ხელმძღვანელობა. იგი პენსიაში გასვლამდე ხელმძღვანელობდა ფაკულტეტს, იყო დეკანი. ამ პერიოდში მოიპოვა მსოფლიო სახელი, და მისი წყალობითაა, რომ დღესაც ძლიერ სოციოლოგად ითვლება.

მასზე, როგორც პედაგოგზე, მრავალი მოგონება არსებობს. მოგონებების თანახმად, იგი არასატანდარტული ლექტორი იყო, რომელსაც მასალის გადაცემის საკუთარი სტილი და საუბრის მანერა ჰქონდა. მას არ დაუკარგავს რუსული აქცენტი. როდესაც ლექციას იწყებდა, ბევრს ეგონა, რომ ქადაგებას იწყებდა, ვიდრე ლექციის კითხვას. ჰქონდა უზარმაზარი ფიზიკური ძალა, დაფებს მისი მეშვეობით კარგი დღე არ ადგა, ცარცის მიფშვნის თუ ზეწოლის შედეგად. იგი თითქმის არასოდეს არ აქებდა თავის ამერიკელ კოლეგებს, პირიქით, მათ შემოქმედებაში ცუდის მეტს ვერაფერს ხედავდა. 30-იანი წლების მეორე ნახევარში მან მიიღო ჰარვარდის უნივერსიტეტის გრანტი 10 ათასი დოლარის ოდენობით, რაც იმდროინდელი საზომებით ძალიან დიდი თანხა იყო. მან პროექტში მრავალი რუსი ემიგრანტი მეცნიერი და თავისი ასპირანტები (მათ შორის ყველაზე ცნობილი რ. მერტონი) მიიწვია, რის შედეგადაც 1937-41 წლებში გამოვიდა მისი მთავარი ოთხტომიანი შრომა „სოციალური და კულტურული დინამიკა“.

50-იან წლებში მიუხედავად სტუდენტთა და ასპირანტთა მხრივ დიდი თაყვანისცემისა და უფრო მეტიც, გაღმერთებისა, მისი გავლენა ინტელექტუალურ ატმოსფეროზე მინიმალურია, და როგორც ჩანს, იგი ამას მშვენივრად აცნობიერებდა. მისი უმცროსი კოლეგა ტ. პარსონსი უფრო გავლენის მქონე იყო. მათ შორის საკმაოდ ცივი და შეჯიბრებითობის ურთიერთობა არსებობდა. მისი მრავალი მოსწავლე, მაინც პარსონსის პარადიგმას გაყვა, თვით რ. მერტონიც კი, ხოლო ვინც მის ავტორიტეტს აღიარებდა, ამას ძალიან ინდივიდუალურადაც გამოხატავდა. ასე, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის შემოქმედს არ ეღირსა გამხდარიყო მისი სულისჩამდგმელი და შეექმნა ამერიკაში საკუთარი სოციოლოგიური სკოლა.

1964 წელს პ. სოროკინს ირჩევენ ამერიკის სოციოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარედ. საინაუფურაციო მიმართვაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე სოციოლოგია უცილობლად „აირჩევს შემოქმედებითი ზრდის გზას... და დიდი სინთეზის ახალ პერიოდში შევა“.

სიცოცხლის ბოლო ორ წელს მძიმე ავადმყოფობამ დარია ხელი. იგი გარდაიცვალა თავის სახლში ვინჩესტერში (კლიფ-სტრიტზე). 1968 წლის 11 თებერვალს. ამავე წელს ამერიკის სოციოლოგთა



ასოციაციამ დააწესა სოციოლოგიაში საუკეთესო წიგნის გამოსავლენად პ. სოროკინის სახელობის ყოველწლიური პრემია.

ასე დამთავრდა ამ ადამიანის „ხანგრძლივი მოგზაურობა“, როგორც მან თავის დროზე უწოდა მის ცხოვრებას, რომელმაც მთელი თავისი ძალები მიუძღვნა მეცნიერებაში ობსკურანტიზმის და საზოგადოებაში სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას ისე, რომ არასდროს არ ჩავარდნილა არც კომუნისტურ, არც ტოტალიტარიზმის ხელაღებით კრიტიკისა და არც სოციალური ნარცისიზმის უკიდურესობებში.

მისი მთავარი წინასწარმეტყველება მის მიერ გადმოცემულია მაღალი, შეიძლება ითქვას პათეტიკური სტილით: „ჩვენ ვცხოვრობთ, ვაზროვნებთ, ვმოქმედებთ მანათობელი გრძნობადი დღის დასასრულს. ჩამავალი მზის სხივები ჯერ კიდევ აშუქებენ წარმავალი ეპოქის დიდებულებას. მაგრამ შუქი ნელ-ნელა ქრება, ღრმა წყვდიადში სულ უფრო გვიჭირს ამ დიდებულების გარჩევა და ჩამოწოლილ ბინდ-ბუნდსა და ბურუსში საიმედო ორიენტირების დაძებნა. ამ გარადმავალი ეპოქის ღამე იწყებს ჩვენზე დაშვებას, თავისი კომმარებით, შიშისმომგვრელი ჩრდილებით, სულისშემძრავი საშინელებებით. მაგრამ მათი საზღვრების უკან, ვხედავთ ახალი დიდი იდეაციონალური კულტურის განთიადს, რომელიც ახალ თაობას – მომავლის ადამიანებს ესალმება“.

კულტურის განწმენდისა და აღდგომის მეშვეობით ახალი იდეაციონალური მომავლის წინასწარმეტყველი, ალტრუისტული სიყვარულისა და სოლიდარობის ეთიკის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ზნეობრივი აღორძინების მქადაგებელი, მეცნიერული და გამოყენებითი ჰუმანიტარული ცოდნის თანმიმდევრული ინტეგრალისტი – ასეთია აკადემიური მეცნიერისათვის საკმაოდ არატიპიური სოროკინი-მეცნიერისა და სოროკინი-წინასწარმეტყველის სახე;

II. ინტეგრალური სინთეზი

პ. სოროკინის აზრით სოციოლოგია არის თეორიული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სპეციფიკურ სოციალურ მოვლენებს, რომელთაც გააჩნიათ გარეგნული ყოფიერება-არსებობა და უშუალოდ დაკვირვებადნი არიან. ყოველივე ამის ქვეშ იგულისხმება თავისი თავის მსგავსთა გარემოში მცხოვრებ ინდივიდთა გარეგანი მოძრაობითი რეაქციები, ე.ი. ურთიერთმოქმედ პირთა მოქმედებანი.

პიროვნებათა შორის ურთიერთმოქმედება არის საზოგადოებისა და სოციალური ჯგუფების კვლევის ამოსავალი ელემენტი. ორი ინდივიდის ურთიერთქმედება არის ყველაზე მარტივი სოციალური მოვლენა, როგორც მეთოდოლოგიური, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სტრუქტურული როლის თვალსაზრისით.

თავის პირველ წიგნში „დანაშაული და სასჯელი, გმირობა და ჯილდო“ იგი სოციალურ ფენომენს განსაზღვრავს როგორც „ისეთ სოციალურ კავშირს, რომელსაც ფსიქიკური ბუნება აქვს



და ინდივიდთა ცნობიერებაში არის რეალიზებადი”. სხვა სიტყვებით, თუ ნებისმიერი ურთიერთქმედება ატარებს ფსიქიკურ ხასიათს, მაშინ იგი სოციალური მოვლენაა. მაგრამ სოციოლოგს, სოროკინის აზრით, სოციალური მოვლენის მხოლოდ გარეგან ბუნებასთან, ანუ მის

სიმბოლურ გამოხატულებასთან აქვს საქმე. შესაბამისად, როდესაც სოციოლოგი ახდენს გენერალიზებას ანუ განზოგადებას მოვლენებისას იგი აუცილებლად მიდის სოციალური ქმედებების ანუ აქტების სამი ფორმის გამოყოფასთან: 1. დაშვებულ-ნებადართულ ჯეროვან; 2. რეკომენდირებულ („ისინი არ ეწინააღმდეგებიან დასაშვებ ჯეროვან წარმოდგენებს, მაგრამ წარმოადგენენ „ზენორმალურ ფუფუნებას“). და 3. „აკრძალულ“ (ანუ „დაუშვებელ“) ქმედებებს. ამ ფორმათაგან თითოეული თავის მეწყვილესთან ერთად არსებობს ანუ თავის ოპოზიციასთან – სანქციასთან ერთად არსებობს. ასე მაგალითად, რეკომენდირებულ აქტებს შეესაბამება ჯილდოები, აკრძალულს (დანაშაულს) – სასჯელი, ხოლო დასაშვებ, ნებადართულ აქტებს კი – „სათანადო-ჯეროვანი“ რეაქციები. ერთი სიტყვით, თავისი მოღვაწეობის დასაწყისში სოროკინს მთელი სოციალური ცხოვრება წარმოდგენილი ჰქონდა როგორც აქცია-რეაქციის უწყვეტ-დაუსრულებელ ჯაჭვის სახით, ხოლო მათ შორის ურთიერთქმედება კი ისტორიული პროგრესის არსის გამოხატულებად.

„სოციოლოგიის სისტემაში“, ეს გულუბრყვილო სქემა ფართოვდება” და დასრულებულ ლოგიკურ სახეს იღებს. აქ იგი აყალიბებს პრინციპებს, რომლებსაც მტკიცედ დაიცავს მომავალშიც. სოროკინის აზრით, თეორიული სოციოლოგია სამი ძირითადი განყოფილებისაგან შედგება: 1. სოციალური ანალიტიკა (სოციალური ანატომია და მორფოლოგია); 2. სოციალური მექანიკა, (რომლის ობიექტია სოციალური პროცესები) და 3. სოციალური გენეტიკა (საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციის თეორია). სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურის ასეთ ხედვას სოროკინი უცვლელად დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს. ამ აზრით, შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას მისი შრომები: „სოციოლოგიის სისტემა“ და 1947 წელს გამოცემული „საზოგადოება, კულტურა და პიროვნება“.

ამ პოზიციიდან აყალიბებს იგი თავის ძირითად თეზისს იმის შესახებ, რომ სოციალური ქცევა ფსიქოფიზიკურ მექანიზმებზეა დამყარებული, ხოლო ქცევის სუბიექტური ასპექტები კი „ცვლად“ სიდიდეებად გვევლინებიან. მთელი სოციალური ცხოვრების მაინტეგრირებელ, ანუ ინტეგრალურ ფაქტორად იგი კოლექტიურ რეფლექსებს თვლიდა. ამ ფაქტორის და განწყობის დანახვა და დაკვირვება არაა ძნელი მის „რევოლუციის სოციოლოგიაში“, რომელსაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ. „მოსახლეობის ძირითადი ინსტიტუტების სულ უფრო მზარდი დათრგუნვა, მათი ბაზისური ხასიათი და წესრიგის დამცველ ჯგუფთა უძლურება – ასეთია რევოლუციური აფეთქების პირობების ადექვატური აღწერის სამი ელემენტი“. სხვა სიტყვებით, საზოგადოებაში ნებისმიერი რევოლუციური მოძრაობის საფუძველში დევს ბაზისური ინსტიტუტების – კვების, სექსუალური ურთიერთობების, საკუთრების, თვითდამკვიდრება-გამოხატვის, თვითგადარჩენის და მრავალი სხვის – დათრგუნვა.

„სოციოლოგიის სისტემაში“ სოროკინი სოციალური მოვლენის უმარტივესი მოდელის სახით ურთიერთქმედებას განიხილავს. მის ელემენტებად იგი თვლიდა:



1. ინდივიდებს;
2. აქტებს (მოქმედებები) და
3. ურთიერთობის გამტარებს (ისინი იგივე ინტერაქციის სიმბოლოებია).

ურთიერთქმედებაში მყოფ ინდივიდებს ახასიათებთ: უმაღლესი ნერვული სისტემის არსებობა, მოთხოვნილებები და ამ სტიმულებზე რეაგირების უნარი. აქტები შედგება: გარეგანი გამაღიზიანებლებისა და ფსიქიკური ცხოვრების შიდა-შინაგანი რეალიზაციებისაგან. ხოლო გამტარები – კი არიან ინტერაქციის (ენა, დამწერლობა, მუსიკა, ხელოვნება, ფული და ა.შ.),

სუბიექტებს შორის რეაქციათა გადაცემის სიმბოლოები. ურთიერთქმედება შეიძლება ხასიათდებოდეს: ანტაგონისტურ ან სოლიდარულ, ცალმხრივ ან ორმხრივ, შაბლონურ ან არაშაბლონურ ურთიერთობებად. სოციალური ჯგუფები კი შეიძლება დაყოფილი იქნან ელემენტარულ, კუმულიატიურ და რთულ ჯგუფებად „სოციოლოგიის სისტემაში“ ჩასახული სინთეზი უფრო ვითარდება „სოციალურ მობილობაში“, რომელიც სპეციალისტთა ერთსულოვანი შეფასებით კლასიკურ შრომად ითვლება სტრატეგიკაციისა და მობილობის პრობლემებისადმი მიძღვნილ შრომებში. წიგნი „განსაკუთრებით საინტერესოა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მობილობას შორის გატარებული თეორიული განსხვავებით და ასევე იმ ძირითადი საშუალებებისა და არხების ღრმა ანალიზით, რომელთა დახმარებითაც ინდივიდუმებს ძალუმთ ვერტიკალური მობილობის განხორციელება“ – აღნიშნულია ჰ. ბეკერისა და ა. ბოსკოვის შრომაში.

სოროკინის თანახმად, სოციალური მობილობა საზოგადოების ბუნებრივი და ნორმალური მდგომარეობაა. იგი არა მხოლოდ ინდივიდთა, ჯგუფთა სოციალურ გადაადგილებას, არამედ სოციალური ობიექტების (ღირებულებების, ფასეულობების) გადაადგილებასაც გულისხმობს, ე.ი. ყოველივე იმისა, რაც ადამიანური საქმიანობის პროცესში შექმნილი ან მოდიფიცირებულია. ჰორიზონტალური მობილობა ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში გადასვლას გულისხმობს, რომელიც საზოგადოებრივი სტრატეგიკაციის ერთსა და იმავე დონეზე მდგომარეობს – დგას. ვერტიკალური მობილობის ქვეშ მას ესმოდა ინდივიდის გადაადგილება ერთი სოციალური პლასტიდან მეორეში, თანაც მიმართულების შესაბამისად იგი გამოყოფდა ვერტიკალური მობილობის ორ ტიპს: აღმავალსა და დაღმავალს, ე.ი. სოციალურ აღმასვლასა და სოციალურ დაცემას.

ვერტიკალური მობილობა, სოროკინის აზრით, სამი ასპექტით ანუ სტრატეგიკაციის სამი ფორმის შესაბამისად უნდა განვიხილოთ: 1. როგორც შიდაპროფესიონალური ან პროფესიათაშორისო ცირკულაცია – წრებრუნვა; 2. პოლიტიკური გადაადგილებები, და 3. მოძრაობა „ეკონომიკურ კიბეზე“. სტრატეგიკაციურ საზოგადოებებში სოციალური მობილობის ძირითად დაბრკოლებას თუ მუხრუჭს წარმოადგენს სპეციალური „საცერის“ არსებობა, რომლებიც ინდივიდთა თითქოსდა დახარისხებას ეწევიან, აძლევს ზოგს ზემოთ გადაადგილების საშუალებას, ხოლო სხვებს კი ამუხრუჭებენ. ეს „საცერი“ (Сито) არის კიდევ ინდივიდთა სოციალური ტესტირების, შერჩევის და განაწილების მექანიზმი სოციალური



სტრატეგების მიხედვით. ისინი როგორც წესი ვერტიკალური მობილობის ძირითად არხებს ემთხვევიან, ესე იგი სკოლას, არმიას, ეკლესიას, პროფესიონალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს ემთხვევიან. მდიდარი ემპირიული მასალის საფუძველზე სოროკინი აკეთებს დასკვნას, რომ „ნებისმიერ საზოგადოებაში ინდივიდთა სოციალური ცირკულაცია – წრებრუნვა და მათი განაწილება ხორციელდება არა შემთხვევის ძალით, არამედ ატარებს აუცილებლობის ხასიათს და სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ მკაცრად კონტროლირდება“. თუმცა სოროკინი ნათლად განასხვავებს მობილობას საზოგადოების ნორმალური ევოლუციის პერიოდებში და საზოგადოებრივი ცვლილებების, კატასტროფების პერიოდებში, როდესაც „მობილობის თანდათანობა, მოწესრიგებულობა და მკაცრად კონტროლირებადი ხასიათი არსებითად ირღვევა“. თუმცა, სოროკინის აზრით, თვით ქაოსის პერიოდებშიც კი ინარჩუნებს თავს და არსებობს წინაღობები შეუზღუდავი სოციალური მობილობის გზაზე, როგორც ძველი რეჟიმის „საცრის“ ნარჩენების, ისე ჩასახული წესრიგის ახალი „საცრის“ სწრაფი ზრდის სახით.

სოროკინისათვის, ისე როგორც მრავალი მკვლევარისათვის, რომლებიც მანამდე თუ მის შემდეგ მუშაობენ ამ პრობლემაზე, ცხადია სოციალური სტრატეგიკაციის არაისტორიული დინამიზმი. ეკონომიკური, პოლიტიკური და პროფესიონალური სტრატეგიკაციის ალფა და ომეგა, ზედა და ქვედა ზღვარი – სტრატეგიკაციის არადროული, დროში განუსაზღვრელი დახასიათებები და ნორმალური თვისებები, ნიშნებია. მათი დროებითი ფლუქტუაციები არ ატარებენ ერთი მიმართულების მქონე მოძრაობის სახეს, სოციალური დისტანციის არც გაზრდის და არც შემცირების მიმართულებით. სოციალური სტრატეგიკაცია – „ესაა ნებისმიერი ორგანიზებული საზოგადოების მუდმივი მახასიათებელი. ფორმაშეცვლილი, სოციალური სტრატეგიკაცია ყველა საზოგადოებაში, იმ საზოგადოებაშიც კი არსებობდა, რომელიც თანასწორობას ქადაგებდა. ფეოდალიზმი და ოლიგარქია არსებობას აგრძელებენ მეცნიერებასა და ხელოვნებაში, პოლიტიკასა და მენეჯმენტში, დამნაშავეთა ბანდაში და გამთანაბრებელთა დემოკრატიაში, ერთი სიტყვით – ყველგან“. ჭეშმარიტად, ისტორია გვიჩვენებს, რომ არასტრატეგიციზებული საზოგადოება, რომელშიც მის წევრებს შორის ნამდვილი და თანმიმდევრულად გატარებული თანასწორობის პრინციპი იარსებებდა მითია, რომელიც არასდროს არ განხორციელებულა პრაქტიკაში და დღეს რჩება მსოფლიო გამთანაბრებელთა მხოლოდ დროშად და ლოზუნგად.

შემოქმედების ჰარვარდულ პერიოდში პ. სოროკინის ინტეგრალისტური ტენდენციები და განწყობა საბოლოოდ ფორმდება ერთიან ინტეგრალურ მოდელში, რაც ასახვას მის ოთხტომიან „სოციალურ და კულტურულ დინამიკაში პოულობს“. სოროკინის შემოქმედების მკვლევარების ნაწილი ამ შრომას აღწერენ ეგრეთ წოდებული „ტელეგრაფიული კონსპექტის“ სტილით და მასში გადმოსცემენ ზოგადი სახის როგორც თავად მოდელს, ისე იმ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომლებსაც იგი ემყარება.

ადამიანები შედიან სოციალური ურთიერთობების სისტემაში ფაქტორთა მთელი კომპლექსის ძალით. იქნება ეს: არაცნობიერი (რეფლექსები), ბიოცნობიერი (შიმშილი, წყურვილის, სექსუალური ლტოლვა და ა.შ.) და სოციოცნობიერი (მნიშვნელობა, ნორმა, ღირებულება) რეგულატორები. შემთხვევითი და დროებითი აგრეგატებისაგან (ბრბო) განსხვავებით, რომლებსაც არ ახასიათებთ ნათელი და ხანგრძლივი (პროლონგირებული) კავშირები, მხოლოდ



საზოგადოებას შეუძლია მნიშვნელობების, ნორმების, ღირებულების წარმოება, რომლებიც არსებობენ თითქოსდა სოციოცნობიერი „ეგოს“ – საზოგადოების მაკონსტრუირებელი წევრების – შიგნით. ამიტომ ნებისმიერი საზოგადოება შეიძლება აღვწეროთ და გავიგოთ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი „მნიშვნელობების, ნორმების, ღირებულებების“ სისტემის პრიზმაში. ეს სისტემა არის ერთდროული კულტურული თვისება.

სოციოცნობიერ ინდივიდებსა და საზოგადოებებში დაფარული და დამალული კულტურული თვისებები ვლინდება და აღმოჩნდება ადამიანური ცივილიზაციის ყოველ მონაპოვარსა და მიღწევაში, და ასევე შემოინახება კულტურული ისტორიის დისკრეტულ პერიოდებშიც (ომები, რევოლუციები, სხვა საზოგადოებრივი უბედურებები). კულტურული თვისებების (მნიშვნელობების, ნორმების, ღირებულებების) სოციოემპირიული გამოკვლევები, საშუალებას

გვაძლევს გამოვყოთ ისტორიის ფრიად ხანგრძლივი პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც ვლინდებიან შედარებით ახლოს მდგომი და თვით იდენტური კულტურული ნიმუშებიც კი – საქმიანობის, აზრების, შემოქმედების, რწმენის სახეები. კულტურული ცხოვრების ეს ხანგრძლივი, მდგრადი ნიმუშები, მიუხედავად ყოვლისშემძლე და შემთხვევითი დევიაციებისა, ემპირიულად დგინდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ისინი ლოგიკურად მნიშვნელადი კულტურული სისტემების პროდუქტებს წარმოადგენენ.

ამასთან ლოგიკურ-მნიშვნელადი კულტურულ-ღირებულებითი სისტემები – კულტურული თვისების დეტერმინანტები – ადამიანის „ორმაგი“ ბუნების – მოაზროვნე არსებისა და მგრძობელი არსების – ზემოქმედების მეშვეობით ყალიბდებიან. ამით კი უპირატესობის მქონე თვისება ღირებულებით-კულტურული შკალის პოლუსებიდან ერთ-ერთს ემთხვევა. თუ ძირითადი აქცენტი ადამიანის გრძობად მხარეზეა მიმართული, მაშინ შესაბამისად კულტურული ღირებულებების გრძობადი ნიმუშები დეტერმინირდება და ყალიბდება. ხოლო თუ აქცენტი წარმოსახვასა და გონებაზე კეთდება – მაშინ არაგრძობად ნიმუშებს ვიღებთ. თანაც ერთსა და მეორე შემთხვევაშიც ქცევისა და აზროვნების დაპირისპირებული მოტივები მთლიანად არ ნეიტრალიზდებიან, ნეიტრალურ მდგომარეობაში არ გადადიან. გრძობადი და რაციონალური სტიმულების ბალანსის დაცვის შემთხვევაში კი იდეალისტური კულტურები ყალიბდებიან.

ამ თვალსაზრისით ღირებულებების, მნიშვნელობების და ნორმების ყველა კლასის დაჯგუფება და გადაჯგუფება, მათი წინა პლანზე წამოწევა ისტორიული კვლევის მიმდინარეობისას გვიჩვენებენ ანტიკურ-კლასიკოსი მოაზროვნეების მიერ შემუშავებულ ღირებულებით კლასებთან საოცარ შესაბამისობას: შემეცნებითი (კოგნიტური) საქმიანობის შედეგად წარმოებულ ღირებულებას (ჭეშმარიტება), ესთეტიკური კმაყოფილებისა თუ სიამოვნების შედეგად მიღებულ ღირებულებას (მშვენიერება); სოციალური ადაპტაციის და მორალის შედეგად მიღებულ ღირებულებას (სიკეთე); და ბოლოს, ყველა დანარჩენი ღირებულებების ერთ სოციალურ მთლიანობად მაკონსტრუირებელ ღირებულებას (სარგებლიანობა). ნებისმიერ სოციალურად მნიშვნელადი ადამიანური აქტივობა სწორედ ამ ოთხი ჭეშმარიტად უნივერსალური კატეგორიის შედეგად შეიძლება აიხსნას. მათ იგნორირებას ან სხვა ამხსნელი პრინციპებით მათ შეცვლას გარდაუვალად მივყავართ ამ კატეგორიების სხვა და ნაკლებ



ადექვატური ტერმინების ენაზე ხელოვნური თარგმნის სციენტისტურ წარუმატებლობასა და უშედეგობასთან.

ინტეგრალური მიდგომა თანაბრად გამოსადეგია ინდივიდუალური ტიპებისა თუ კულტურული ღირებულებების აღსაწერად და სინამდვილეშიც, ნებისმიერი ინდივიდი ჩაწერილია კულტურული ღირებულების სისტემაში, ხოლო მისი ქვეცნობიერი მოტივები და ბიოცნობიერი სტიმულები კონტროლდებიან და ემორჩილებიან სოციოცნობიერ „ეგოს“. ამგვარად, კულტურულ ინტეგრალური ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოება აღწევს წარმატებებს, აბალანსებს და ჰარმონიზირებას უკეთებს სიკეთის, მშვენიერებისა და ჭეშმარიტების მსახურებაში გაწეული ადამიანურ ენერჯიასა და ძალისხმევას. მსგავსი „ინტეგრალიზმი“ პიროვნების თუ კულტურის ყველა არსებითი კომპონენტის ლოგიკური-მნიშვნელადი ურთიერთკავშირით ხასიათდება. „ინტეგრალური“ კულტურული ზესისტემის მოდელი – ღირებულებითი ნიმუშის სისტემური და ჰარმონიზებადი რეზულტატის მომცემი – მნიშვნელოვნად მეტს გვაძლევს კულტურის სრულფასოვანი და ადექვატური გაგებისა და განსაზღვრებისათვის, ვიდრე ტრადიციული სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური თუ კულტუროლოგიური მეთოდები.

აი რატომ უნდა დაექვემდებაროს სოციალური ცხოვრების დესკრისპციული ანალიზი კულტურული ღირებულებების პრიმატს სოციალური ყოფიერების თვით ისეთ ასპექტებშიც კი, სადაც, შეიძლება პირველი შეხედვით მოგვეჩვენოს, რომ არ არსებობს კულტურულ-ღირებულებითი სისტემებთან რაიმე პირდაპირი კავშირი. მაგალითად, ცნებები „ჯგუფი“, „კლასი“, „როლი“, „სტრატეგია“, „სოციალური მოქმედება“ და მრავალი მათი მსგავსი მეცნიერულ ვალიდურობას იძენენ, მაშინ, როდესაც ისინი ინტერპრეტირებულნი არიან როგორც კულტურული ზესისტემების, ღირებულებების, ნორმების, მნიშვნელობების კონგრუენტულ კავშირთა ცვლადები.

ამის ძალით ისტორიის ახალი ფილოსოფია უნდა ამოვიდეს თეზისიდან იმის შესახებ, რომ სოციოკულტურული ცვლილებების (ე.ი. საკუთრივ დინამიკის) უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ამა თუ იმ დომინანტური კულტურული ზესისტემის – „იდეაციონალურის (იდეატიონალ“), „იდეალისტურის (იდეალისტიც)“, „გრძნობადის (სენსატე)“ დაცემა და დაშლა წარმოადგენს. სწორედ ამ აზრით არის ისტორიის ფილოსოფია და სოციოლოგია იგივეობრივი და მსგავსი, ვინაიდან ისინი ყურადღებას ამახვილებენ დომინანტური სისტემების გენეზისის, ევოლუციის, დაშლისა და კრიზისის პრობლემებზე, რის შედეგადაც ნათელი და ცხადი ხდება თუ „როგორ“, „რატომ“ და „როდის“ ხდება - წარმოიქმნება ესა თუ ის სოციო-კულტურული ცვლილებები.

კულტურული ზესისტემებიდან თითოეული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ მენტალობას, ჭეშმარიტებისა და ცოდნის საკუთარ სისტემას, საკუთარ ფილოსოფიას და მსოფლმხედველობას, თავის რელიგიას და „სიწმინდის“ საკუთარ ნიმუშს, მისაღებისა და მიუღებლის საკუთარ წარმოდგენებს, სიტყვაკაზმული ხელოვნების საკუთარ ფორმებს, საკუთარ ზნეობას, კანონებს და ქცევის კოდექსებს, საკუთარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს და ბოლოს, პიროვნების, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტითა და ქცევით – საკუთარ ტიპს ფლობს.



მაგალითად, თუ პლატონისათვის მისი სისტემის ცენტრალური ცნება „იდეები“, არისტოტელესათვის – „მნიშვნელობები“, ბეკონისათვის – „ექსპერიმენტი“ და „ინდუქცია“, დარვინისათვის – „ბუნებრივი შერჩევა“ იყო, მაშინ სოროკინისათვის, ცხადია, რომ ასეთ ცნებად „ღირებულება“ გვევლინება. რასაკვირველია, სოროკინამდე მრავალი მოაზროვნე ბჭობდა ღირებულების ბუნებაზე და იკვლევდა მათ, მაგრამ მხოლოდ სოროკინმა შეძლო ეჩვენებინა ღირებულებითი თეორიის მასისტემატიზირებელი და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა სოციოლოგიაში.

ასეთია, ზოგადად სოროკინისეული მაკროსოციოლოგიის „ინტეგრალური“ სინთეზი. დასავლური კულტურის მდგომარეობა სოროკინმა შეაფასა როგორც კრიზისული. ახლანდელი „გრძნობადი“ კულტურა, წერდა იგი, განწირულია დაისისათვის, იგი ეცემა, რამდენადაც სწორედ იგია დამნაშავე ადამიანის დეგრადაციაში და ღირებულებების მარტივ რელატიურ კონვენციებად თუ შეთანხმებებად გადაქცევაში. გრძნობადი კულტურის დაცემა არ ნიშნავს კულტურის გადაგვარებას, პირიქით, იგი მოასწავებს ახალი ალტრუისტული სიყვარულის და სოლიდარობის ეთიკის პრინციპზე დამყარებული „იდეაციონალური კულტურის“ დადგომას.



პიტირიმ სოროკინი

რევოლუციის სოციოლოგია

მსოფლიოს “ორგანული ევოლუციიდან” მრავალი საუკუნის შემდეგ, კაცობრიობის ისტორიაში კვლავ დადგა “კრიტიკული” პერიოდი. რევოლუცია, ზოგიერთთაგან უარყოფილი, ზოგიერთთაგან კი გულითადად მიღებული იკრებს თავის ძალაუფლებას. რიგი საზოგადოებებისა ბოლომდე ჩაიფერვლა მის ცეცხლში, ზოგგან კი ის ახლა აპირებს შეჭრას. ვის შეუძლია იწინასწარმეტყველოს კიდევ რამდენ ხანს გასტანს მისი ხანძარი? ვის შეუძლია იყოს სავსებით დარწმუნებული, რომ ადრე თუ გვიან რევოლუციური ქარტეხილი არ შეეხება მის ბინადართაც?... ვერავინ. მაგრამ, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია აღვფრთოვანდეთ რევოლუციით, მაშინ ჩვენ უნდა ვიცოდეთ მაინც, თუ რას წარმოადგენს იგი. ჩვენ ხომ არსებითად ვცხოვრობთ მასში. ნატურალისტების მიხედვით, ჩვენ სავსებით შეგვიძლია გამოვიკვლიოთ, გავანალიზოთ და დავაკვირდეთ რევოლუციას.

ამ სტრიქონების ავტორს ზედიზედ ხუთი წელი მოუწია ეცხოვრა რუსული რევოლუციის წრეში. ყოველდღიურად ის აკვირდებოდა იმას, რაც ხდებოდა. სწორედ ამ დაკვირვებების შედეგი არის სწორედ ეს წიგნი. მკითხველი მასში ვერ იპოვის რუსული რევოლუციის იდეოგრაფიულ აღწერას. უფრო მეტად ეს არის სოციოლოგიური ესსე, რომელშიც გაანალიზებულია თვითონ ეს მოვლენა და მისი ის თვისებები, რომლებიც ასე თუ ისე ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან თუ დიდ რევოლუციას. ისტორიკოსის ამოცანა არის, რომ დაგვიხატოს პორტრეტი, მოგვცეს კონკრეტული ისტორიული მოვლენის მკაცრი აღწერა ყველა თავისებურებითა და განუმეორებელი უნიკალურობით. სოციოლოგის ამოცანა კი სრულიად სხვაა: სოციალურ მოვლენათა ერთობლიობაში მას აინტერესებს მხოლოდ ფენომენის ის თვისებები, რომლებიც მსგავსია ყველა ერთი ტიპის მოვლენებისათვის სადაც და როდესაც არ უნდა ხდებოდნენ ისინი. ამიტომაც სწორად წერს ზომბარტი: “ბრძოლა ტანენბერგთან” - არის ისტორიული გამოკვლევის ობიექტი, ხოლო ბრძოლა ტანენბერგთან კი - უკვე სოციოლოგიის საგანი არის. ბერლინის უნივერსიტეტი უფრო მეტად არის ისტორიის საგანი, ხოლო ბერლინის უნივერსიტეტი - სოციოლოგიის. ზუსტად ასევე არის რუსული რევოლუციაც თავისი დამახასიათებელი დეტალებითა და წვრილმანებით - ისტორიკოსის ობიექტი, ხოლო რუსული რევოლუცია კი, როგორც ტიპი - სოციოლოგიის ობიექტი.

ჩვენ ჭეშმარიტად გვიმტკიცებენ: კაცობრიობის ისტორია არ მეორდება, მაგრამ განა დედამიწის ისტორია განმეორებადია? ვარსკვლავთა გალაქტიკა ანდა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხე განმეორებადია? ცალკეულ ორგანოზმებში უჯრედი მისთვის დამახასიათებელი შემადგენლობებით ასევე არასრდოს არ მეორდება, მაგრამ განა ეწინააღმდეგება ეს ფაქტები განუმეორებელი პროცესების განმეორებას მრავალი ფენომენის აღმოჩენის საკითხში, ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის კანონებში? ჭეშმარიტი არ არის, რომ დედამიწაზე H2 და O (წყალბადი და ჟანგბადი) შეადგენენ წყალს, დედამიწაზე ისტორიის უნიკალურობის მიუხედავად. და განა მოვლენები და კავშირები, აღწერილი ნიუტონის და სხვათა კანონებში არ მეორდებოდა



მრავალჯერ? ამით მე მინდა ვთქვა, რომ ისტორიული პროცესები თავისი განუმეორებლობის შემთხვევაშიც მაინც იყოფა და იზღუბა მრავალ განმეორებად ელემენტად. სამართლიანია ეს მოსაზრება ასევე კაცობრიობის ისტორიასთან მიმართებაშიც და ასევე ისტორიის ორგანულ და ეროვნულ სამყაროებთან მიმართებაშიც. აქაც ასევე “მსგავსი მიზეზები, მსგავს გარემოებებში, წარმოშობენ მსგავს შედეგებს.” ომი და მშვიდობა, შიმშილი და აყვავება, დაჭერა და განთავისუფლება, რელიგიის ამაღლება და ვარდნა, უმრავლესობის და უმცირესობის მართვა - ყველა ეს მოვლენები არაერთხელ განმეორებულა სხვადასხვა დროსა და სივრცეში.

არსებული სოციალური პირობების მიუხედავად, რომლებშიც ეს პროცესები ხდება შენარჩუნებულია ფუნდამენტური მსგავსება ერთი და იმავე ტიპის ფენომენისა, როგორც მაგალითად ომი, რომელიც როდესაც და სადაც არ უნდა წარმოებდეს არ შეიძლება იყოს მთლიანად ანიჰილირებული სხვადასხვა თანამდევი გარემოებებით. ამგვარად მსგავსი შედეგები იძულებით მეორდება. უფრო მეტად ან ნაკლებად კომპლიციტური ფორმით. ამგვარად კონცეფცია, რომელიც შეფარვით დევს ეკლუზიასტას წიგნში ჭეშმარიტებისაგან არ არის შორს. მაგრამ აი მრავალი თეორეტიკოსის ფუნდამენტური შეცდომა ფილოსოფიის ისტორიის დარგში გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ეძებდნენ “განმეორებებს” არა იქ სადაც ეს საჭირო იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი მჯღავნდნენ რთულ და უდიდეს ისტორიულ მოვლენებში, ხოლო ელემენტარულ, ყოველდღიურ ფაქტებში კი, რომლებიც შეადგენენ პირველი განრიგის მოვლენებს და რომელთა სიმაღლეზეც უნდა უკეთდებოდეს ანალიზი რთულ მოვლენებს.

ამ თვალთახედვიდან ისტორიის განუწყვეტელი შემოქმედება არ არის იმდენად ახალი და უსაზღვრო, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია. ისტორიკოსი იმ მწერლის მსგავსად, რომელიც დაულალავად წერს ახალ დრამებს, ტრაგედიებსა და კომედიებს ახალი ტიპებითა და გმირებით, ახალი სიუჟეტებითა და მოქმედებებით, მაგრამ.....ყველაფერს ძველ თემებზე, რომლებიც არაერთხელ განმეორებულა ამ დაულალავი ავტორის შრომებში. გამოცდილი ავტორის მსგავსად ისტორიკოსიც თავისი შემოქმედებითი პოტენციალის მიუხედავად იძულებულია განმეორდეს. ეს ყველაფერი შეიძლება იყოს ნათქვამი უდიდეს ტრაგედიად წოდებულ რევოლუციაზე, ის არაერთხელ მიმდინარეობდა ისტორიის ავანსცენაზე, მაგრამ ყოველთვის იდგმებოდა ხელმეორედ. მოქმედების ადგილი, დრო, პირობები, სცენარი, მათი თვისებები, მონოლოგები და დიალოგები, ხალხის გუნდი, მოქმედებათა რაოდენობა, “შეჯახების” სცენები - ყველაფერი ეს ცვალებადია. მაგრამ ყველა არადამთხვევის დროსაც მოქმედებათა უდიდესი რაოდენობა იძულებულია განმეორდეს, რადგან ყველა მსახიობი სხვადასხვა სცენარში თამაშობს ერთსა და იმავე პიესას სახელწოდებით “რევოლუცია.”

ახლა მოდით დავსვათ კითხვა: “რა არის რევოლუცია?” ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი დეფინიცია არსებობს, თუმცა ბევრი მათგანი ეყრდნობა მცდარ პრინციპებს. მათ შეეხებათ, როგორც “რბილი” ისე “მაგარი” განსაზღვრებები. მათ შორის მე ვიაზრებ იმ დეფინიციებს, რომლებიც უფრო უკავშირდებიან რევოლუციის წარმოსახულ, ვიდრე რეალურ მახასიათებლებს.

ე. ბერნშტეინი წერს, რომ “მოცემულ მომენტში რევოლუციური შეგვიძლია ვუწოდოთ ისტორიის მხოლოდ იმ პერიოდებს, რომლებიც აღწერდნენ განსაზღვრულ თავისუფლებას.” სხვა ავტორი ამტკიცებს: “1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება ჩვეულებრივ აღწერილია როგორც



რევოლუცია, მაგრამ წამება და რევოლუცია შეუსაბამოა. ასევე საბჭოთა რუსეთშიც, სადაც ძალადობა იქცა ყოველდღიურ მოვლენად, არის მხოლოდ რეაქცია, მაგრამ არ არის არავითარი რევოლუცია.”

რევოლუციის ეს კონცეფციები შეიძლება გადავაფასოთ, როგორც “ჭკვიანური” და “რბილი” ვინაიდან ყველა რევოლუციური და პოსტრევოლუციური პერიოდი, როგორც წესი, არამართა არ ზღუდავდა თავისუფლებას, არამედ ამასთან ერთად მათ იშვიათად მოჰყვებოდათ თან შევიწროვება. მაგრამ გამომდინარეობს კი აქედან, რომ მრავალი უძველესი და შუასაუკუნეების დროინდელი რევოლუციები, ისევე, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუცია, არ არის რევოლუცია? რევოლუცია და ტანჯვა არა თუ არ არიან ერთმანეთის არასაწინააღმდეგო მოვლენები, არამედ პირიქით, ყოველი რევოლუციური პერიოდი ხასიათდება მკვლელობის, სადიზმის, სიმკაცრის, მხეცური ქმედებების, წამების შემთხვევათა ზრდით. მხეცობის ერთი შემთხვევიდან გამომდინარეობს კი, რომ ფრანგული, ან რუსული, ან ინგლისური, ან ბატების რევოლუციები არ იყვნენ რევოლუციები?

ეს მაგალითები წარმოადგენენ იმის დემონსტრირებას, რომ რევოლუციის ამდაგვარი კონცეფციები არის მცდარი და სუბიექტური. მათი ავტორები - დონკიხოტები რევოლუციებიდან, რომელთაც არ სურდათ ენახათ ტობოსელი გოგონას, ან საპარსი ჯამის პროზაიკული ხატი, არამედ მიისწრაფოდნენ, რომ მასში დაენახათ შესანიშნავი დულსინეა ან შესანიშნავი რაინდული ჩაფხუტი. ამ “ილუზიონისტთაგან” ზოგიერთები ცდილობენ წინააღმდეგობებისაგან გათავისუფლებას იმის ჩვენებით, რომ რევოლუციის ყველა ნეგატიური ელემენტი არ მიეკუთვნება მის ძირითად მახასიათებელთა რიცხვს, არამედ წარმოადგენს შემთხვევით ელემენტს და უფრო მეტად შეესაბამება იმას, რასაც უწოდებენ “რეაქციას” და არა “რევოლუციას.” ამ არგუმენტში იგივე “ილუზიონიზმი” არის ჩამალული. თუკი თითქმის ყველა რევოლუციას, როგორც წესი, მოჰყვება ასეთი ნეგატიური მოვლენები (წამება, თავისუფლების შეზღუდვა, ძალადობის პაუპერიზაცია, მხეცობის მატება და ა.შ.) მაშინ რომელი მიზეზები ჩავთვალოთ “შემთხვევითებად და თანმდევებად?” ეს ისევე, როგორც ვერცხლის წყლის მომატება თერმომეტრში ითვლება თანამდევ ფაქტორად. “ილუზიონისტებს” ურჩევნიათ “რეაქციასთან” აპელირება, როგორც ყველა ნეგატიური მოვლენის წყაროსთან, რომლებიც უკავშირდებიან რევოლუციას. ჭეშმარიტად კი ისინი არამგონია აბარებდნენ თავიანთ თავს ანგარიშს ასეთი გაიგივების მნიშვნელობების შესახებ. შეიძლება ისინი გააოცოს იმან, რომ ყოველი რევოლუციური პერიოდი უცვლელად იყოფა ორ სტადიად, რომლებიც განუყოფლად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. “რეაქცია” არ არის ფენომენი, რომელიც არის რევოლუციის ზღვარს მიღმა, არამედ მისი არსი არის იმანენტური ნაწილი - მეორე სტადია. რობესპიერისა და ლენინის დიქტატურა, კრემლელის ან ჟიკის, საერთოდაც არ აღნიშნავენ რევოლუციის აღმავლობას, არამედ ამოწმებდნენ მის ტრანსფორმირებას მეორე სტადიად - “რეაქციის” ან “ალაგმვის” სტადიად, მაგრამ არანაირად არ მიუთითებენ მის დასასრულზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც “რეაქცია” აღარაფერს აღარ უდრის, როდესაც საზოგადოება შედის თავისი ნორმალური ევოლუციის ფაზაში, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ რევოლუცია დასრულდა. ჩვენი “ილუზიონისტები” წყევლიან “რევოლუციას” და ვერც კი



ექვობენ, რომ ამითი ისინი არაფერს ისე არ ძრახავენ, როგორც რევოლუციის მეორე სტადიას. სქემატურად ამას შემდგნაირად გამოვსახავთ.

რევოლუციური პერიოდი

ნორმალური პერიოდი	ნორმალური პერიოდი
..... 1-ლი სტადია	2 სტადია

ყველაფერი, რაც იყო ნათქვამი რბილი “ილუზიონისტების” შესახებ თნაბრად ვრცელდება მწარე მისტიფიკატორებზეც.

რევოლუციის, “სატანის ნამოქმედარად” შეფასებისაგან ისინი ისევე შორს არიან, როგორც მისი არსის გაგებისა და ისევე, როგორც მათი ოპონენტებისაგან. აღიარებენ რა “რეაქციას” ისინი არც კი ექვობენ, რომ თავიანთი ზიზღით რევოლუციის მიმართ, ისინი არსებითად განადიდებენ მას, მხოლოდ არა მის პირველ, არამედ მეორე სტადიას.

და მაინც რევოლუციის დეფინიციათა ნაწილი ჩანს უფრო აზრიანი. მაგალითად: “რევოლუცია არის საზოგადოების კონსტიტუციური წესრიგის შეცვლა ძალადობრივი გზით” (ი. ბაუერის განსაზღვრება).

არ არსებობს იმის საჭიროება, რომ ახლა ამ განსაზღვრებას რაიმე დაემატოს, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ზედმეტად ფორმალურები არიან და სავსებით არაადეკვატურად აღწერენ თვითონ ამ მოვლენას. ჩემს მიზანს ასევე არ წარმოადგენს ამ დეფინიციათა საწინააღმდეგოდ შემოგთავაზოთ ჩემული დეფინიცია. სოციალური მეცნიერებები უამისოდაც ძალიან მდიდარია ფორმულირებების სხვადასხვა ტიპებით, რომლებიც ხშირად ვერ გვეხმარებიან მოვლენის არსის გაგებაში. მე უფრო მეტად მინდა მოვიქცე ნატურალისტთა მსგავსად და მოგვცეთ რევოლუციის სერიათა სოციოლოგიური ხედვა, რომელიც გაფანტულია გეოგრაფიულად და ასევე დროის მიხედვითაც: მე-17 საუკუნის რუსული რევოლუციები, 1905 წლის, 1917-24 წლების, 1789, 1848, 1870-71 წლების ფრანგული რევოლუციები, 1848 წლის გერმანიის რევოლუცია, მე-17 საუკუნის შუა წლების ინგლისის რევოლუცია, ანტიკური და შუა საუკუნეების რევოლუციური მოძრაობები, ეგვიპტისა და ირანის რევოლუციები და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებისა. ამდაგვარი გამოკვლევა შეგვიქმნის წარმოდგენას იმის ფუნდამენტური მახასიათებლების შესახებ, რასაც ჩვენ რევოლუციას ვუწოდებთ.

ჩემი გამოკვლევიდან მე მიზანმიმართულად გამოვრიცხავ ისეთ რევოლუციურ მოძრაობებს, როგორცაა 1918 წლის ჩეხოსლოვაკიის რევოლუცია, ან მე-18 საუკუნეში ჩრდილო-ამერიკულ შტატთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რომლებიც თავის თავში არ მოიცავენ საზოგადოების ერთი ნაწილის ბრძოლას მეორის წინააღმდეგ, არამედ წარმოადგენენ ბრძოლას



ხელისუფლებებს შორის. ასეთი ტიპის რევოლუციები არსებითად განსხვავდებიან იმ რევოლუციებისაგან, რომლებიც ხდებიან ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ჩარჩოებში.

ყველა მოვლენიდან ჩემი ყურადღება რა თქმა უნდა პირველ რიგში კონცენტრირებულია უფრო მეტად მნიშვნელოვან - “დიად” - რევოლუციებზე, რადგან ისინი უფრო მკვეთრად უკეთებენ დემონსტრირებას ტიპიურ მახასიათებლებს. რასაკვირველია, ყველაზე გულმოდგინედ მე გავანალიზე რუსული რევოლუცია, რომელიც შეიძლება ითქვას ჩემს თვალწინ ხდებოდა. ის იმსახურებს დაჟინებით ყურადღებას, გამომდინარე იქიდან, რომ გარდა იმისა, რომ იგი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე აშკარა რევოლუციურ მოძრაობად, რომელზე დაკვირვების საშუალებაც მე მომეცა, ის ასევე ჭეშმარიტად ჰფენს ნათელს ამ სოციალური მოვლენის მახასიათებლებს.

ჩემი აზრით, ეს მოსაზრებები არიან არსებითნი. მიუხედავად სხვადასხვა შეხედულებებისა “ისტორიის არსის შესახებ,” რომლებიც გამოიხატებიან შემდეგი ფრაზებით: “გვერდიდან ჩანს,” “ისტორიული მოვლენების ჭეშმარიტ შეფასებას რამდენიმე თაობის შემდეგ მივიღებთ,” “წარსული გასაგები უნდა იყოს არა აწმყოს შემდეგ, არამედ პირიქით.” ამ მოსაზრებათა საპირისპიროდ მე ვამტკიცებ, სულ სხვა რამეს და როგორც მე მეჩვენება, ჩემი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო სამართლიანია.

არა შთამომავლები, არამედ თანამედროვეები - არიან ისტორიის საუკეთესო შემფასებლები და დამკვირვებლები.

პირველთა ისტორიული გამოცდილება დაფუძნებულია დოკუმენტებზე, ამიტომაც არის არაადექვატური, მაშინ, როდესაც დრო, როგორც თანამედროვეთა გამოცდილება, არაფრით არ არის განზოგადებული, მათ მიმდინარე მოვლენებთან უშუალო შეხება აქვთ, ისინი ყოველივეს საკუთარ თავზე ცდიდნენ (იწვნივდნენ), მაშინ, როდესაც შთამომავალთა ცოდნა ფრაგმენტულია, შემთხვევითი და გაუცხოებული. ეს მოსაზრება არ შეეხება იმ თანამედროვეებს, რომლებიც აფართოვებენ თავიანთი ინდივიდუალური გამოცდილების წრეს, სხვათა გამოცდილების მეშვეობით, სტატისტიკური მონაცემებით და სხვა სამეცნიერო მეთოდებით, რომლებიც ავსებენ და კორექტირებას უკეთებენ პირად ცოდნას. ამის მიხედვით თანამედროვეთა თაობა უფრო დაცულია შეცდომებისაგან, ვიდრე ისტორიკოსი, რომელიც მომხდარ მოვლენას მრავალი თაობის გავლის შემდეგ იკვლევს, ან კი უცხოელი დამკვირვებელი, რომელამდეც აღწევს მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითი ინფორმაცია.

უმველესი დროიდანვე პირდაპირი დაკვირვება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ითვლებოდა განზოგადების მეთოდზე უფრო უპირატესად. აქ წარსულის მოვლენები აიხსნება მიმდინარე დაკვირვებებითა და ექსპერიმენტებით. სოციალურ მეცნიერებებში არასაკმარისია წარსულის აწმყოს შემდეგ გაანალიზება, ისევე როგორც არასამართლიანია იმის მცდელობა, რომ აღვწეროთ დიდი ხნის წინ მომხდარი ისტორიული მოვლენები პირდაპირი დაკვირვებების ან ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენების ანალიზირების საშუალებით.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი ააშკარავებს ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს რუსული რევოლუციისადმი.



მასზე პირდაპირი დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ სხვა რევოლუციების მახასიათებლებიც. ამ მხრივ გაანალიზებულ რევოლუციათა სერია დაგვარწმუნებს ჩვენ რომ მათი არსებობის დროს არის ბევრი მსგავსი თვისებები და კანონმდებლობები, რომელთაგანაც საერთო ჯამში შედგება ტიპიური ფენომენის კომპოზიცია, რომელსაც რევოლუცია ეწოდება. ის, თუ როგორები არიან ეს მახასიათებლები, ამას მოგვიანებით გავიგებთ. მე ახლავე მინდა, რომ მივანიშნო იმაზე, რომ ჩემ მიერ გაკრიტიკებული რევოლუციის დეფინიციის შექმნის მცდელობები განიცდიან ფიასკოს, როდესაც საცოდავად ცდილობენ, რომ მიუთითონ რევოლუციის მახასიათებლებზე, თუმცაღა ძლივსძლივობით უახლოვდებიან მისი ფუნდამენტური პროცესების გაგებას.

პირველ რიგში, რევოლუცია წარმოადგენს ცვლილებას ადამიანთა ქცევაში, მათ ფსიქოლოგიაში, იდეოლოგიაში, რწმენებსა და ფასეულობებში. მეორეს მხრივ კი რევოლუცია თავის თავში მოიცავს ცვლილებებს მაცხოვრებლების ბიოლოგიურ შემადგენლობაში და მათი ახლწარმოებისა და გადარჩევის პროცესებში. მესამეს მხრივ, ეს არის - საზოგადოების მთელი საციალური სტრუქტურის დეფორმაცია. მეოთხეს მხრივ კი რევოლუციას თან მოჰყვება ბიძგები ფუნდამენტურ სოციალურ პროცესთა შორის.

რევოლუციის შეფასება - საკითხი საკმაოდ სუბიექტურია, ხოლო მისი მეცნიერული შესწავლა კი აუცილებლად უნდა იყოს ობიექტური. რევოლუციური მოვლენები ერთდროულად ეგზოტიკურნი და რომანტიულნი არიან, ამასთანავე მკვლევარი უნდა იყოს საკმაოდ პროზაიკული. ამიტომ ჩემი ანალიზის მეთოდი არის არა ქება, არა ალაგმვა, არა აპოთეოზი, არა დაწყევლილი რევოლუციები, არამედ მისი განხილვა ყველა რეალობაში.

სწორედ ამიტომ შევეცდები, რომ ჩემი ყოველი თეზისი შევამოწმოთ ფაქტებით. რა თქმა უნდა, მე შევეცდები, რომ ვისაუბრო მოკლედ, თუმცა მიუხედავად ამისა ციტირებულ გამოცემებში მკითხველი უპრობლემოდ შეამჩნევს აუცილებელ დამამტკიცებელ საბუთებს თავისი სიჭარბით.

მხოლოდ ძალიან იშვიათად მე დავარღვევ ჩემს პირად წესებს და მოგცემთ ზნეობრივ შეფასებას და გამომდინარე იქიდან, რომ ისინი იქნებიან განსხვავებულნი (დესკრიფტულები) სამეცნიერო მტკიცებულებებისაგან, ეჭვი მეპარება, რომ ისინი თქვენ რაიმეში აგერიოთ. ასეთი არის ის მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებზეც იქნება აგებული მომავალი თხრობა.

რევოლუციის ნამდვილი ბუნება არსებითად განსხვავდება მისი აპოლოგეტების რომანტიული წარმოდგენებისაგან. ზოგიერთი ტიპიური მახასიათებელი შეიძლება მოგეჩვენოთ დამამცირებლად, რომლებიც ამხინჯებენ “რევოლუციის შესანიშნავ სახეს.”

რას ვიზამთ, ჩემი ანალიზი შეიძლება განვიხილოთ, როგორც “რეაქციული.” მე შემიძლია დავეთანხმო ასეთ ბრალდებას და მზად ვარ ეპითეტისათვის “რეაქციონერი.”

ჩემი წიგნიდან მკითხველი გაიგებს, რომ რევოლუცია არის ყველაზე ცუდი საშუალება მასების მატერიალური და სულიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სიტყვიერად მიზნად დაისახება დიდი ფასეულობების რეალიზაცია, მაგრამ რეალურად ვიღებთ სრულიად განსხვავებულ შედეგებს. რევოლუცია ადამიანებს არა სოციალურებად, არამედ



ბიოლოგიზირებულებად აქცევს, კი არ აფართოებს, არამედ ავიწროვებს ყველა საბაზისო თავისუფლებას, კი არ აუმჯობესებს, არამედ აუარესებს მშრომელთა კლასის ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას. ის, რასაც იგი აღწევს, აღწევს მას საშინელ და არაპროპორციულად დიდ ფასად. ის ტანჯავს პარაზიტობას, თავაშვებულობას, სოციალური ვალდებულებებისაგან თავის არიდებას (თუმცაღა მათი სოციალური მდგომარეობის დეგრადაცია ნებისმიერ შემთხვევაში ხდება). არამხოლოდ არისტოკრატიული კლასები, არამედ მილიონობით ღარიბი და მშრომელი კლასები იმედოვნებენ, რომ რევოლუციის საშუალებით მოუღებენ ბოლოს თავიანთ გაუსაძლის ყოფას.

თუკი ასეთი ობიექტურია რევოლუციის შედეგები, ხალხისა და მათი უფლებების სახელით კეთილდღეობა, მშრომელთა თავისუფლებისა და ეკონომიკური და სულიერი პროგრესის სახელით, მე არ მაქვს უფლება, მაგრამ მოვალეც ვარ, რომ თავი შევიკავო რევოლუციის კერპთაყვანისმცემლობისაგან. ბეკონის მრავალ კერპთა შორის უდაოდ არსებობს “რევოლუციის კერპი.” კერპთაყვანისმცემელთა და დოგმატიკოსთა შორის, რომლებიც მზად არიან ტოტემის მოგების სანაცვლოდ მსხვერპლად გაიღონ ადამიანი, არიან რევოლუციური კერპთაყვანისმცემლებიც.

ამ მრავალმილიონიან მსხვერპლთა სანაცვლოდ, ამ “შესანიშნაობისაგან” მისი მჭამელები ითხოვენ სულ ახალ და ახალ გეკოტომებს. არ არის დრო, რომ შევეჩინა აღმდგომთ ამ მოთხოვნებს და შევწყვიტოთ მსხვერპლთა დინება? ისევე, როგორც მრავალი სოციალური ავადმყოფობა, რევოლუციაც არის შედეგი მთელი რიგი კომპლექსური მიზეზებისა. მაგრამ თვითონ ამ ავადმყოფობისათვის თავის არიდების შეუძლებლობა მე არ მაიძულებს მივიღო იგი ან მოხიბლული ვიყო მისით. თუკი ასეთი იდეოლოგია ითვლება “რეაქციულად,” მაშინ მე დიდი სიხარულით ვარ მზად მივიღო ტიტული “რეაქციონერი.”

სოციალური ევოლუციის ისტორია გვასწავლის, რომ ყველა ფუნდამენტური და რეალურად პროგრესირებული პროცესები არის ცოდნის, მსოფლიოს სოლიდარობის, თანამშრომლობის და სიყვარულის განვითარების შედეგი და არა ზიზღის, მხეცობის, გიჟური ომების შედეგი, რომლებიც აუცილებლად მოჰყვებიან უკან რევოლუციას. სწორედ ამიტომ ვუპასუხებ რევოლუციურ მოწოდებას ევანგელედან მოყვანილი ციტატით: “მამაო ჩვენო! დაე ნურაფერი ცუდი ნუ შეგვემთხვევა!” მართალია, რომ ყველა ამ საშინელი წინასწარმეტყველების ალბათობა მცირდება “პატარა” რევოლუციების დროს, რომლებიც არ იწვევენ სამოქალაქო ომებს. ერთი შეხედვით შეიძლება ღირსეულად მოგვეჩვენოს მთავრობის უსისხლოდ შეცვლა და არისტოკრატის ჩამოქვეითება, შეჩერებული სოციალური პროგრესი. სიტუაცია სინამდვილეშიც ასეთი რომ ყოფილიყო, მე საექვოა გავმხარიავი რევოლუციის ასეთი მოწინააღმდეგე და არ ვიქნებოდი იმის ცდაში, რომ დამეცვა პარაზიტული, ტალანტის არ მქონე და კორუმპირებული არისტოკრატია. მაგრამ, რა ვქნა, რევოლუცია მედიცინის ენაზე არის - მალადიე ა-ტყპიქუე - ანუ ატიპიური, არაჩვეულებრივი დაავადება, რომლის განვითარებაც არ შეიძლება აღგვაფრთოვანებდეს და გვახარებდეს.

ზოგჯერ, როდესაც ვლინდება სუსტი საშიში სიმპატიები, სიტუაცია შეიძლება უეცრად გაუარესდეს და ლეტალურ დასასრულამდეც კი მივიდეს. ვის შეუძლია იყოს დარწმუნებული,



რომ ასანთის ანთების დროს, არ გამოიწვევს საშინელ ხანძარს, რომელიც არა მხოლოდ ტირანებს, არამედ..... თავად საქმის გამკეთებელს და მასთან ერთად ათასობით უდანაშაულო ადამიანსაც არ დაწვავს. ასეთ შემთხვევაში, ისე, როგორც არასდროს უნდა გვახსოვდეს “შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი.”

განსაკუთრებით ეს უნდა გვახსოვდეს მაშინ, როდესაც ჰაერში იგრძნობა აფეთქების განწყობა, როდესაც წესრიგი არის ყოველგვარი პროგრესის აუცილებელი პირობა! - შეშინდი, რევოლუციური ქარიშხალი კი ახლო მომავალში დაატყდება თავს მრავალ ქვეყანას.

ახლა, მემგონი ისე, როგორც არასდროს კაცობრიობას ესაჭიროება წესრიგი. ცუდი წესრიგიც ჯობია უწესრიგობას, ისევე, როგორც “მშვიერი სამყარო ჯობია არეულ სამყაროს.”

სოციალური ორგანიზაციის გაუმჯობესებისთვის რევოლუციური ექსპერიმენტების გარდა სხვა საშუალებებიც არსებობს. ასეთ პრინციპულ კანონებად გვევლინებიან:

1. რეფორმა არ უნდა თელავდეს ადამიანის ბუნებას და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის ბაზისურ ინსტინქტებს. რუსული რევოლუციური ექსპერიმენტი და ასევე ბევრი სხვა რევოლუციებიც საპირისპირო მაგალითს გვაძლევენ.
2. კონკრეტული სოციალური პირობების გულმოდგინე მეცნიერული შესწავლა უნდა შეიცავდეს პრაქტიკული რეალიზაციისა და რეფორმის შეტანის შესაძლებლობას. რევოლუციურ რეკონსტრუქციას უმეტესობა არ ეყრდნობოდა ამ წესებს.
3. თავდაპირველად უპრიანია ყოველი რეკონსტრუქციული ექსპერიმენტი გამოვცადოთ პატარა სოციალურ მასშტაბში. და მხოლოდ მაშინ, თუკი იგი პოზიტიურ შედეგს მოგვცემს, შეგვეძლება გავზარდოთ რეფორმის მასშტაბები. რევოლუცია ამ კანონს იგნორირებას უკეთებს.
4. ცხოვრებაში რეფორმები უნდა გავატაროთ სამართლებრივი და კანონიერი საშუალებებით. რევოლუცია კი ზიზღს გამოხატავს ასეთი შეზღუდვების მიმართ. ამ კანონთა და უფლებათა გათელვა სოციალური რეკონსტრუქციის ყოველ მცდელობას აქცევს ამაოდ. ასეთ კანონებს იყენებენ ადამიანები, მაგალითად ხიდების აგების და საქონლის გამრავლების საქმეებში. თუმცა ხშირად ითვლება, რომ საზოგადოების რეკონსტრუქციისას არ არის იმის აუცილებლობა, რომ ამ კანონებს მივყვეთ.

წინამძღოლი ნაწილობრივ ხდება რევოლუციურ რეფორმათა ლიდერი, რევოლუციურ პირობათა გვერდით ცხადდება “ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა,” ხოლო კანონების მოთხოვნები კი - სიმხდალედ, ან მოქალაქეობრივ თაღლითობად. მშვიდობიან და კანონიერ მეთოდთა გამოყენებისაკენ მოწოდება კი - “რეაქციად,” “დამანგრეველობის სულად.” ამ “რევოლუციურ მეთოდებს” მივყავართ ჩვენამდე რევოლუციური რეკონსტრუქციის დროს, ხოლო მსხვერპლთა წარმოშობა კი იქცევა ყოველდღიურ მოვლენად. შორი პლანეტის მკვიდრი, რომელიც აკვირდება ჩვენს ქმედებებს, სამართლიანად დაასკვნის, რომ დედამიწაზე ძროხები და ხიდები უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ადამიანის სიცოცხლე: პირველს უფრო ამაოებით ექცევიან, მათ არ სწირავენ ისე იოლად და ისეთი რაოდენობით, როგორც რევოლუციის ად მაჯორემ გლორიამ (დიდებისათვის) სწირავენ ადამიანთა სიცოცხლეს.



ამ ფაქტთა გააზრების შემდეგ რთული განსასაზღვრელია - უნდა ვიცინოდეთ მათზე, თუ ვტიროდეთ.

ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლობა იქნებოდა ადამიანთა უფლებები გაგვეთანაზრებინა ძროხებისა და ხიდების “პრივილეგიებთან” თუმცა ამ მოთხოვნის შესრულება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე “ადამიანთა და მოქალაქეების უფლებათა დეკლარაციის” შესრულებისაკენ მოწოდება.

რევოლუციის პრინციპები

გავანალიზოთ რევოლუციის ძირითადი მიზეზები, იმის ახსნა, თუ რამ გამოიწვია რევოლუცია უფრო სწორი იქნება დავიწყოთ მიზეზებით, რომლეთაც წარმოშვეს რევოლუციური გადახრები ადამიანთა ქცევებში.

თუკი რომელიმე საზოგადოების წევრთა ქცევა დემონსტრირებას უკეთებს ასეთ გადახრებს, მაშინ მთელი საზოგადოება ექვემდებარება მსგავს ცვლილებებს. რამდენადაც იგი წარმოადგენს ერთმანეთთან ურთიერთმოქმედი ინდივიდების ჯამს.

როგორია მაშინ ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ ადამიანთა ქმედებებში საყოველთაო გადახრებს?

მიზეზების საკითხს დაყენებულს უფრო საერთო ფორმით აქვს ასე თუ ისე მეტაფიზიკური სული. ამიტომაც ალბათ, ჩემთვის აუცილებელია, როგორღაც დამატებითი კავლიფიკაცია მივცე ჩემს კითხვას. მიზეზად ამ შემთხვევაში ვგულისხმობ პირობების კომპლექსს, მოვლენათა კავშირს, რომლებიც წარმოადგენენ მიზეზთა ჯაჭვს, რომლის სათავეც იკარგება მუდმივობაში და საბოლოოდ კი მომავლის უსასრულობაში. ამ გზით შეიძლება მოგცეთ წინასწარი პასუხი დასმულ კითხვაზე. ყოველი რევოლუციის განმაპირობებელი ყოველთვის იყო მოსახლეობის უმრავლესობის საბაზისო ინსტინქტების მოსპობის გზა და ასევე მათი მინიმალურად დაკმაყოფილების შეუძლებლობაც კი.

ასეთია რევოლუციის მიზეზების საერთო ხედვა, რომელიც რა თქმა უნდა ვლინდება მარავალ კონკრეტულ, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მოქმედების ადგილის რეალიებში.

თუკი საჭმლის გადამამუშავებელი რეფლექსი არის დათრგუნული და მოსახლეობის ნაწილი განადგურებულია “შიშშილით” სახეზე გვექნება რევოლუციისა და აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი, ხოლო თუკი განადგურებულია თავდაცვის ინსტინქტი დესპოტური ეგზეკუციით, მასობრივი მკვლელობებით, სისხლიანი მხეცობებით, მაშინ სახეზეა რევოლუციის კიდევ ერთი მიზეზი. თუკი განადგურებულია კოლექტიური თვითდაცვითი რეფლექსი (მაგ: ოჯახები, რელიგიური სექტები, პარტიები) შეურაწყოფილია მათი სიწმინდეები, ხდება მათი ოჯახის წევრებზე თავდასხმა დაჭერების სახით და ა.შ. მაშინ ჩვენ გვაქვს რევოლუციის მესამე მიზეზი. თუკი მოთხოვნილება საცხოვრებელზე, ტანსაცმელზე და ა.შ. არ არის დაკმაყოფილებული მინიმალური მოცულობით მაინც, მაშინ სახეზეა რევოლუციის დამატებითი მიზეზი. თუკი მოსახლეობის უმეტესობას სქესობრივი რეფლექსი აქვს დაქვეითებული, მისი ყველა



გამოვლინებით (ექვიანობის სახით, ან საყვარელ საგანზე დაუფლების სახით) და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების პირობები და გავრცელებულია მოტაცებები, ძალადობა ცოლებსა და შვილებზე, იძულებითი გათხოვება ან გაყრა და ა.შ. სახეზე გვაქვს რევოლუციის მეხუთე მიზეზი. თუკი გამეფებულია სიღარიბე და განადგურებულია მასების საკუთრების ინსტინქტი და განსაკუთრებით თუკი ეს ხდება სხვათა კეთილდღეობის ფონზე, ჩვენ ვიღებთ რევოლუციის მეექვსე მიზეზს. თუკი განადგურებულია თვითგამოხატვის ინსტინქტი ან ინდივიდუალურობა ადამიანებს უხდებათ შეჯახება ერთის მხრივ შეურაცხყოფასთან, მათი ღირსებების და მიღწევების პერმანენტულ და უსამართლო იგნორირებასთან, ხოლო მეორეს მხრივ კი ხალხის ღირსებების განდიდებასთან, რომელთაც იგი არ დაუმსახურებიათ, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს რევოლუციის კიდევ ერთ მიზეზთან. თუკი იბღალბა ხალხთა უმრავლესობის ბრძოლის, შემოქმედებითი მუშაობის, სხვადასხვა სახის გამოცდილების შეძენის, თავისუფლებისადმი მოთხოვნის (სიტყვის და მოქმედების თავისუფლების მანიფესტაციების მოწყობის) იმპულსი, რომელიც იბადება ზედმეტად მშვიდობიანი ცხოვრების მონოტონური წრის მუშაობით, რომელიც არ აძლევს არაფერს არც ტვინს, არც გულს. მას მუდმივი შეზღუდვები შეაქვს ურთიერთობებში, სიტყვისა და მოქმედების თავისუფლებაში, მაშინ ჩვენ გვაქვს დამხმარე პირობები რევოლუციური აფეთქების დასაწყებად. და ეს ყველაფერი მხოლოდ მიზეზების მხოლოდ არასრული ჩამონათვალი არის, ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანი იმპულსები, რომლებიც იწვევენ რეპრესიებს და რომელთაც მივყავართ რევოლუციურ კატაკლიზმებამდე და ასევე ძირითადი “რეპრესირებული” ჯგუფები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ძველი რეჟიმის დამხობა და იმარჯვებს რევოლუცია.

ინსტინქტების უმეტესად შემბლაღავი ძალა და მათი შეჯამებული რაოდენობა ახდენს გავლენას აფეთქების ხასიათზე. ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ რევოლუციაში “რეპრესიები” ვლინდებიან განსაკუთრებით მეორე სტადიაზე. ასევე აუცილებელია, რომ “რეპრესიები” ვრცელდებოდეს რაც შეიძლება ფართოდ და თუ არა მთლიან მოსახლეობაში, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში მაინც. უმცირესობათა შებლაღავა ყველგან ხდება. ამას მივყავართ ინდივიდუალური წესრიგის რღვევამდე, რომელიც ჩვეულებრივ სახელდება - დანაშაულად. მაგრამ როდესაც რეპრესია ხდება საერთო, მაშინ ამას მივყავართ რეჟიმის დამხობამდე. ეს აქტი თავისი არსით უტოლდება იმ დანაშაულებებს, რომლებიც გახდნენ უნივერსალური და ეწოდებათ “რევოლუცია.”

რეპრესიათა ზრდა როგორც დანარჩენ მსოფლიოში არის მიმართებითი. ერთი და იგივე ადამიანის სიღარიბე და კეთილდღეობა იზომება არა იმით თუ რას ფლობს ის ამ მომენტში, არამედ რა ჰქონდა მას ადრე და ან რა აქვს საზოგადოების სხვა დანარჩენ წევრებთან შედარებით. ნახევარი მილიონის მფლობელი დღეს, რომელიც იყო მულტიმილიონერი, თავს ღარიბად თვლის თავის წინა მდგომარეობასთან და სხვა მილიონერებთან შედარებით. მუშა, რომელიც თვეში 100 დოლარს გამოიმუშავებს ღარიბია აშშ-ში, მაგრამ მდიდარია რუსეთში. ასევე შეიძლება ვისაუბროთ “რეპრესიების” ზრდასა და შემცირებაზე. ისინი იზრდებიან არამარტო სიძნელეების ზრდასთან ერთად ინსტინქტების დაკმაყოფილების გზაზე, არამედ მაშინაც, როცა ისინი იზრდებიან ცალკეული ინდივიდისა და ჯგუფების განსხვავების ზრდის ტემპებში. როდესაც



ჩვენ ვხედავთ მშვენივრად გაწყობილ სასდილო მაგიდასთან მჯდარ ადამიანს, რომელიც სრულიად მამლარია, ჩვენ ვგრძნობთ შიმშილსა და დამცირებას.

ადამიანი დაინახავს რა ტანსაცმელს და ფეშენებლურ აპარტამენტებს, თავს იგრძნობს ცუდად ჩაცმულად და უსახლკაროდ, თუმცა გონიერი თვალით თუ შევხედავთ, იგი საკმაოდ ნორმალურად ჩაცმულია და აქვს საყოფაცხოვრებო პირობებიც, აი ეს კვლევა არის მაგალითი გარკვეული ინსტინქტების შებღალვისა, ადამიანი, რომლის უფლებებიც საკმარისად ფართოა გრძნობს თავს დამცირებულად იმ ადამიანთა წინაშე, ვისაც სხვებთან შედარებით მეტი პრივილეგიები აქვთ.

ეს მაგალითები შეიძლება გამომადგეს ჩემი თეზისის საილუსტრაციოდ და აიხსნას, რატომ არის შემთხვევათა მნიშვნელოვან რაოდენობში ინსტინქტების “დათრგუნვა” გარკვეულ ჯგუფებში რევოლუციამდელ პერიოდებში, რაოდენობა იზრდება არა იმდენად აბსოლუტურ, არამედ ფარდობით და პირველ რიგში, უფლებრივი საკუთრების ზრდის ხარჯზე, აგრეთვე სოციალური დიფერენციების და უთანასწორობის გამო. მიზანშეწონილია მუდმივად გვახსოვდეს ამ “რეპრესიების” შესახებ.

ამაში არის რევოლუციის პირველადი საყოველთაო მიზეზების არსი. ასეთი ახსნა საკმარისი იქნებოდა. თუმცაღა რევოლუციური აფეთქებისთვის ასევე საჭიროა, რომ არსებული წესრიგის დამცველი სოციალური ჯგუფები, არ ფლობდნენ საკმარის საშუალებათა არსენალს, რომელიც საჭიროა გამანადგურებელი ვარდნის დასათრგუნად. როდესაც “რეპრესირებულ” ინსტინქტთა მზარდ რევოლუციურ ძალებს და დაცვის ჯგუფებს შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ დათრგუნვის საწინააღმდეგო ძალას და სწორედ ამით შექმნან ზეწოლის (წნეხის) ბალანსი, უკვე სულაც აღარ არის რევოლუცია ასეთი გარდაუვალი. ასევე შესაძლოა სპონტანურ გამოსვლათა მსვლელობები, მაგრამ მეტი არაფერი. მაშინ, როდესაც წესრიგის დამცველ ძალებს უკვე აღარ შეუძლიათ ცხოვრებაში პრაქტიკულად განახორციელონ ზეწოლა (წნეხი) რევოლუცია იქცევა უბრალოდ დროის საკითხად.

ამგვარად, საჭირო ხდება თავიდან გავუსვათ ხაზი, რომ 1) ბაზისურ ინსტინქტებზე მზარდი წნეხი/ზეწოლა 2) მათი საყოველთაო ხასიათი 3) წესრიგის დამცველთა ჯგუფების უუნარობა, ასეთი აღწერების დროს გვევლინებიან ყოველგვარი რევოლუციური აფეთქების სამ აუცილებელ შემადგენელ ნაწილად.

რატომ მივყავართ იმპულსების დათრგუნვას ყოველთვის რევოლუციამდე? რატომ მივყავართ მასების ბაზისური ინსტინქტების რეპრესიების ზრდას ხალხთა ქცევებში რევოლუციურ გადახრებამდე? იმიტომ, რომ ძირითადი იმპულსების დათრგუნვა აუცილებლად აიძულებს ადამიანებს ეძებონ გამოსავალი, ისევე, როგორც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი ეძებს ხსნას მისთვის არადაძინებელი გარემომცველი ფენიდან. ქცევათა ძველი ფორმები აუტანელია, აუცილებელია ახალ ფორმათა ძიება, თავდაპირველად რეპრესირებული რეფლექსი ცდილობს იპოვოს გამოსავალი სხვა ინსტინქტების დათრგუნვით, რომლებიც წინაარმდეგობას უწევენ მის კმაყოფილებას. მაგალითად, რეპრესირებული საჭმლის მომწელებელი ინსტინქტი ზეწოლას ახდენს იმ მუხრუჭებზე, რომლებიც ადამიანებს ქურდობის, ტყუილის, აკრძალული საკვების



მიღების და ა.შ. საქციელების ჩადენას უკრძალავდნენ. და ის, ვინც იპარავდა იქცეოდა ქურდად და ბანდიტად; ის, ვისაც ადრე სცხვენოდა ხელის გამოშვერა ახლა იქცევა მათხოვრად; მორწმუნე წყვეტს მარხვას; ის, ვინც ყოველთვის იცავდა კანონებს არღვევს მათ; არისტოკრატი, რომელმაც სძლია თავის სირცხვილის გრძნობას მიდის ბაზარში და ყიდის ტანსაცმელს; ის, ვისაც სცხვენოდა ქუჩაში ჭამა ახლა ამას უკვე უპრობლემოდ აკეთებს; ხოლო ის, ვინც ადრე ვერ იტანდა ადამიანებს ახლა უბრალოდ ემლიქვნელება მათ, რათა მიიღოს პურის ნატეხი; და ა.შ.

იმ ჩვევათა გაქრობა, რომლებიც ემსახურებიან თანდაყოლილი ინსტინქტების რეპრესიის დაბრკოლებას, ნიშნავს მათ გათავისუფლებას მრავალი მუხრუჭისაგან და ხელს უწყობს გათავისუფლებას. ამავდროულად ეს ასევე ნიშნავს იმ პირობითი რეფლექსების დასუსტებას, რომლებიც ადამიანებს აკავებდნენ ძალადობის განსაზღვრული ქმედებების ჩადენისაგან, როგორცაა ქურდობა, მკვლელობა უწმინდურობა და ა.შ.

ადამიანთა ქცევა აქედანვე ვითარდება ბიოლოგიური კანონების თანახმად. რეპრესირებული ინსტინქტები, რომლებიც ანადგურებენ ქცევის პირობით ფილტრებს, იწყებენ ზეწოლას სხვა დანარჩენ ინსტინქტებზე. მათ შორის თანასწორობის ბალანსი ქრება, ხოლო ის ინსტინქტები, რომლებზეც ხდება ზეწოლა ირევან. ამას მივყავართ პირობით რეფლექსთა ძვრის ახალ სერიებამდე და იწვევენ კიდევ უფრო დიდ “ბიოლოგიზაციას” ადამიანთა ქცევებში, ანტისოციალური ფაქტების სამომავლო შეკავებას (დამუხრუჭებას). თუკი მმართველებას და ჯგუფებს, რომლებიც იმყოფებიან წესრიგის სადარაჯოზე, არ ძალუძთ შეწყვიტონ დაქვეითება; დამლა “რევოლუცია” ადამიანთა ქცევებში დგება შეუჩერებლად: პირობითად მიღებული ცივილიზებული მოქმედების “სამოსელი” წამიერად ჩაიშლება, ხოლო სოციუმის სანაცვლოდ გამოიშვება თავისუფლად “გაიძვერობა.”

მაგრამ, როგორც კი იცვლება მასის ქცევის ტიპი, ამასთან ერთად იცვლება სოციალური წესრიგიც.

ამ კითხვის განხილვა საინტერესო იყო, რეპრესიებიც საბაზისო ინსტინქტთა ერთი-მეორის მიყოლებით გაანალიზება.

1) გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს როლს თამაშობს შიმშილის და საჭმლისმომწელებელი ინსტინქტები. რევოლუციისა და აჯანყების პერიოდები ათენში და სპარტაში, რომში რესპუბლიკის დასასრულს, ბიზანტიის ისტორიაში, ინგლისის ისტორიაში (1257-1258 წლები, XIV საუკუნეების დასაწყისი 1381 წლის აჯანყების წინ, ინგლისური ბურჟუაზიული რევოლუციის პირველი პერიოდის მიწურულს მე-17 საუკუნის შუა პერიოდში, მე-17 საუკუნის დასასრულს და მე-18 საუკუნის დასაწყისში, უშუალოდ ჩარტისტიკული მოძრაობის წინ და საბოლოოდ 1919-1921 წლებში) იყვნენ არაუბრალოდ გადარიბების პერიოდები, არამედ ამავდროულად უკიდურესი შიმშილობისა და საჭმლის მომწელებელი რეფლექსის დათრგუნვისა. იგივე შეიძლება ითქვას იმ პერიოდზე, რომელიც იყო ფრანგული ჟაკერიის წინა პერიოდი 1358 წელს. XIV საუკუნის დასაწყისისა და XV საუკუნის მიწურულის რევოლუციათა დასასრულები, იმ წლებისა, რომლებიც წინ უსწრებდნენ ფრანგულ რევოლუციებს (1788-1789, 1830-1831, 1847-1848 და საბოლოოდ 1919-1921 წლები).



ცნობილია ასევე მიზეზობრივი კავშირი მასობრივი მოძრაობებისა რუსეთში (მხედველობაში მაქვს აჯანყებები და რევოლუციები: 1024, 1070, 1230-1231, 1279. 1291, 1600-1603, 1648-1650 წლებში პუგაჩოვის აჯანყება, მე-19 საუკუნის სახალხო მოძრაობები, საბოლოოდ 1905-1906 წლების რევოლუციები, 1917 წლის რევოლუცია) შიმშილობები და გადარიბება, რაც ასევე ახდენს საჭმლისმომწელებელ ინსტინქტებზე ზეწოლას რევოლუციის დამდეგს? ნებისმიერ შემთხვევაში რევოლუციური სიტუაციის პროვოცირებისათვის შიმშილის დათრგუნვა არ უნდა მიდიოდეს ადამიანთა საგანგებო (გადაჭარბებული) გამოფიტვის ზღვარამდე, თუ არა და საპირისპირო შემთხვევაში მასები უბრალოდ ფიზიკურად ვერ შეძლებენ განახორციელონ რევოლუციური აქტივობა. სხვა მხრივ, ეკონომიკური პროგრესი, რომელსაც თან სდევს პროდუქტთა არათანაბარი გადანაწილება, აქცევს ძალადობას საკმაოდ ძლიერად და უმაღლეს ხარისხში საშიშად სოციალური წინააღმდეგობების პოტენციური რღვევის გეგმაში და რევოლუციური გზისაკენ სვლაში.

ის, რაც მართალია მიზეზობრივი კავშირის შესახებ საჭმლის მომწელებელ ინსტინქტებსა და რევოლუციურ აფეთქებებს შორის წარსულში, შესაძლოა შესატყვისი მოდიფიცირებით განვაზოგადოთ ადამიანის ყველა საბაზისო რეფლექსებზე. მოზეზობრივი კავშირები მათ “რეპრესიებსა” და რევოლუციურ შხეფებს შორის არ ბადებენ ეჭვს. ახლა კი ვისაუბროთ ზოგიერთი მაგალითის შესახებ.

2. საკუთრების იმპულსის დათრგუნვას, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკური დიფერანციაციიდან, ყოველთვის მივყავართ რევოლუციურ აფეთქებამდე. ეს მდგომარეობა მტკიცედ ურიცხვი ფაქტების საშუალებით. რატომ პროლეტარიატი - ისევე, როგორც ფიზიკურად მშრომელები, ასევე გონებრივად მშრომელები - არის უფრო საზოგადოების რევოლუციური კლასი? იმიტომ, რომ მისი საკუთრების ინსტინქტი ითრგუნება უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა კლასისა: ის თითქმის არაფერს არ ფლობს, თუკი საერთოდ გააჩნია რაიმე; სახლები, რომლებშიც ცხოვრობენ მშრომელები, არ ეკუთვნით მათ; შრომის იარაღებიც არ არის მათი საკუთრება; მათი აწმყო, აღარაფერს ვამბობ მათ მომავალზე, არ არის სოციალურად გარანტირებული; მოკლედ ის ისევე ღარიბია, როგორც ეკლესიის თავი. სამაგიეროდ ის ყოველმხრივ გარშემორტყმულია აღურიცხავი სიმდიდრით. ამ კონტრასტის ფონზე კი მისი საკუთრების ინსტინქტი მეტად ღიზიანდება, ისევე, როგორც დედობის ინსტინქტი არის გაღიზიანებული უშვილო ქალებში! ხოლო აქედან მათი რევოლუციურობა, მისი უწყვეტი წუწუნი “საწოლები ლურსმნებისაგან” შესახებ, რომლებიც მასში უზომოდ არის გამჯდარი. მისმა ისტორიამ, მისი სოციოლოგიზმის დიქტატურის, მდიდართა ექსპროპრიაცია, ეკონომიკური თანასწორობის იდეალები არის ამ რეპრესიების პირდაპირი გამოვლინება. მაგრამ, როგორც კი საკუთრების ინსტინქტი დაკმაყოფილებული არის სოციალიზმისა და კომუნისმის იდეალები ქრებიან, ხოლო თავად პროლეტარები ხდებიან საკუთრების უფლებისათვის მგზნებარედ მებრძოლნი.

ყველაზე ხშირად ვინ შეადგენენ რევოლუციურ არმიას? პაუპერიზებული ფენიდან გამოსული ადამიანები, რომლებსაც “არაფერი აქვთ დასაკარგი, მაგრამ შეუძლიათ შეიძინონ ყველაფერი” - ერთი სიტყვით, ამ ადამიანებისაგან, რომელთაც საკუთრების ინსტინქტი რეპრესირებული აქვთ.



“შვივრები და მონები” - მათთან პირველ რიგში აპელირებს რევოლუცია და მათ შორის ისინი პოულობენ ყველაზე ცხელ და აქტიურ მიმდევრებს.

ასე ხდებოდა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში, ძველ ეგვიპტეში და პრუსიაში, შუასაუკუნეებისა და თანამედროვეობის რევოლუციებში. მათი რევოლუციური ლეგიონები ყოველთვის შედგებოდა ღარიბთა ფენის წარმომადგენლებისაგან. ეს უკანასკნელნი იყვნენ ხოლმე რევოლუციური მიზნების მიღწევის მთავარი ინსტრუმენტები. არ არის კი ეს მტკიცებულება საკმარისი ზემოთ წამოყენებული თეზისის დასადასტურებლად, რომელიც ეხება კავშირს საკუთრების ინსტინქტსა და რევოლუციურობას შორის?

არ მტკიცდება კი ეს კანონზომიერება ისტორიის მსვლელობით ევროპულ ქვეყნებში უკანასკნელი წლების განმავლობაში? არ ირყეოდა კი საზოგადოებრივი წყობა შიმშილობისაგან, სიღარიბისაგან და უმუშევრობისაგან? არ არის კი კომუნისტური იდეოლოგიის წარმატება დაკავშირებული სოციალურ რყევებსა და ბიძგებთან? არ ვგრძნობთ კი ჩვენ ამ კავშირის ეფექტს თანამედროვე გერმანიაში, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის ყველაზე ნაკლებად რევოლუციურია და რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო რევოლუციური უფსკრულის ზღვარზე?

ზემოთ მოყვანილი განხილვები საკმარისია, რათა მკაფიოდ და ნათლად აღვწეროთ ამ მოვლენების კავშირის სოციალური მოქმედება.

3. ახლა კი მივმართოთ თავდაცვითი ინსტინქტის ანუ ინსტინქტისა, რომელიც ემსახურება ინდივიდის გადარჩენას, დათრგუნვის საკითხს, ასევე ვისაუბროთ კოლექტიური თავდაცვითი ინსტინქტის დათრგუნვის შესახებაც, ამ ინსტინქტის მიზანს წარმოადგენს სოციალური ჯგუფების: ოჯახის, ერის, ტომის, სახელმწიფოს, ეკლესიის ანუ ყოველი კუმულაციური წარმონაქმნის, რომელიც ორგანიზებულია საერთო ინტერესების გარშემო, გადარჩენა. ორივე ინსტინქტის “მარცვლები” მემკვიდრეობითია და საკმაოდ ძლევამოსილი. მათ დათრგუნვას, მითუმეტეს თუკი ეს ხდება ერთდროულად, ძალიან ხშირად მივყავართ რევოლუციამდე. ასეთი ზეწოლის, დათრგუნვის აშკარა მაგალითისათვის შეიძლება გამოგვადგეს წარუმატებელი ომებით მიღებული გამოცდილება.

ომი არის სიკვდილის იარაღი. ის მკაცრად თრგუნავს თვითდაცვით ინსტინქტს, ან კი აიძულებს ადამიანს მოიქცეს მისი სურვილის საპირისპიროდ. ამავდროულად ის ასევე თრგუნავს კოლექტიური თავდაცვის ინსტინქტსაც, აიძულებს ადამიანებს გაანადგურონ და შეურაცხყონ ერთმანეთი, შეუქმნან საფრთხე მთლიანი ჯგუფის არსებობას.

ამის შემდეგ ღირს კი გაკვირვება იმით, რომ საშინელ ომებს ნაწილობრივ მივყავართ სოციალურ აფეთქებამდე? თვითგადარჩენის რეპრესირებულ იმპულსს მივყავართ პირობითი ინსტინქტების დისფუნქციასთან, არღვევს დისციპლინას, წესრიგს და ქვევათა სხვა ცივილიზებულ ფორმებს და ადამიანებს აქცევს შეშლილთა და გიჟთა ჯგუფად. სწორედ ეს შეემთხვა რუსულ არმიას 1917 წელს, მოგვიანებით კი 1918 წელს გერმანელ ჯარისკაცებს. ადამიანები, რომლებიც არიან თავიანთი თავდაცვითი ინსტინქტის მონები ტოვებენ ყველაფერს და დიდი აღშფოთებით ესხმიან თავს მთავრობას, ახდენენ არსებული სოციალური წესრიგის



გადატრიალებას და აღმართავენ რევოლუციის დროშებს. სწორედ ეს ხსნის თუ რატომ ხდება ბევრი რევოლუცია წარუმატებელი ომების დროს, ან მათ შემდგომ. გავიხსენოთ, რომ ჩვენი დროის რევოლუციები - რუსული, უნგრული, გერმანული, თურქული, ბერძნული, ბულგარული - იყვნენ მოწყობილნი სწორედ ამ გარემოებების შედეგად. ეს ასევე შეესაბამება 1905 წლის რუსულ რევოლუციასაც. თურქულმა რევოლუციამ შეცვალა აბდულ-ხამიდის რეჟიმი, წარუმატებელი ომის შემდგომ. ხოლო 1870-1871 წლების პარიზული კომუნა არის კი გერმანელებთან ომში დამარცხების შედეგი? 1358 წლის ფრანგული ჟაკერია და მე-14 საუკუნის მიწურულის რევოლუციური მოძრაობები იყო 100 წლიანი ომის წარუმატებლობის შედეგი და ასევე პაუტრის ომის პერიოდიც, რომელიც მიმდინარეობდა 1356 წელს.

ეს ასევე შეეხება 1381 წელს უოლტ ტეილორის ინგლისის აჯანყებასაც: მღელვარება დაიწყო ლაროშელში ინგლისური არმიის დამარცხების შემდეგ, თვითონ აჯანყება კი გახურდა კოვენანტორების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შემდეგ. გავიხსენოთ ასევე XVIII საუკუნის მიწურულის და XIX საუკუნის დასაწყისის გერმანული და იტალიური რევოლუციური მოძრაობების შესახებაც, რომლებიც წარმოიშვნენ ამ ქვეყნების ნაპოლეონ ბონაპარტეს არმიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში დამარცხების შედეგად.

ეს სია არ არის იმ რევოლუციათა სრული სია, რომლებიც წარმოიშვნენ საომარი წარუმატებლობების ფონზე, თუმცა ეს სია სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ზემოთ მოყვანილი მტკიცებულებების სისწორეში.

რა თქმა უნდა ომებს მივყავართ რევოლუციებამდე არამარტო ზემოთ ხსენებული “რეპრესიების” წყალობით არამედ ადამიანთა სხვა ინსტინქტების დათრგუნვის დროსაც (მაგ: სიღარიბის ზრდას, შიმშილობებს და სტრუქტურათა დეზორგანიზაციას, რაც გამოწვეული არის სწორედ ომების შედეგად) თუმცა ომების რევოლუციური ეფექტი, პირველ რიგში, ხორციელდება ჩვენს მიერ ნახსენები ინსტინქტების დათრგუნვისას. ადამიანები, რომლებიც ომებით არიან დაინტერესებულნი საერთოდ არ იწვიან რევოლუციის სურვილით, თუმცა ნათქვამია, რომ ვინც თესავს ქარს, ის მოიმკის ქარიშხალს.

ზემოთ ხსენებული ასევე შეეხება დიქტატორული მმართველობის რეჟიმსაც, უსასრულო დაპატიმრებების რეჟიმებს, ჯაშუშობისა და დასჯის რეჟიმებსაც. ისინი ასევე შეადგენენ იმ ქმედებათა კომპლექსს, რომლებიც თრგუნავენ პიროვნების თვითდაცვით და თვითგამოხატვის ინსტინქტებს. მუდმივ რისკს და გარანტიების არქონას დესპოტური რეჟიმების პირობებში მივყავართ “რეპრესიებთან” ცნობილი ბიძგებისაგან: შიში, უკმაყოფილება, სიბრაზე და საბოლოოდ “რეპრესიის” რეჟიმის დამხობის მცდელობა.

ცნობილია, რომ ასეთი რეჟიმები, ასევე რეპრესირებას უკეთებენ ჯგუფური თვითგადარჩენის ინსტინქტსაც, რამდენადაც ერთი ადამიანის ყოველი მოდევნო დაპატიმრება ან მკვლელობა არის ამავედროულად მთელ ჯგუფზე - ოჯახზე, მეგობრებზე, ახლობლებზე თავდასხმაც. არცთუ იშვიათად ასეთი რეჟიმები თრგუნავენ იმ ინსტინქტს, ემუქრებიან ადამიანთა ჯგუფის სიმბოლოებს განდევნით და მათ ფასეულობებსაც (განსაკუთრებით ეს შეეხება რელიგიური, პოლიტიკური, ნაციონალური და სხვა ამდაგვარი ჯგუფების თვალთვალის საკითხს). ყოველივე



ამის შედეგად კი საგრძნობლად მატულობს რევოლუციური აფეთქების ალბათობა, რაც იქნება “რეპრესირებულ” ინდივიდთა რაოდენობის ზრდის შედეგი. ვფიქრობ, აქედან ნათელი ხდება, თუ რატომ არიან ამდგავარი საზოგადოებები მუდამ “ფეხმძიმედ” რევოლუციაზე, მათ სოციალურ საფუძველში ჩადებული არის ნაღმი, რომელიც მზადაა აფეთქდეს, კონტროლის უმცირესი შესუსტების შემთხვევაშიც კი. ყოველივე ეს აშკარას ხდის დესპოტური რეჟიმების რევოლუციურ ეფექტებს.

4. არცთუ ისე რთული გასაზრებელია ის, რომ სხვა ინსტინქტთა დათრგუნვაც, ისეთებისა, როგორებიც არიან მაგალითად: სქესობრივი ინსტინქტები, შეუძლიათ ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი.

ლეგენდა, რომლის მიხედვითაც რომის რევოლუცია, რომელმაც ბოლო მოუღო მონარქიულ წყობილებას, გამოიწვია რომის ბოლო მეფის მიერ რომაელთა სექსუალურმა დევნამ, როგორც ჩანს ეს ლეგენდა არცთუ ისე შორს არის სინამდვილისაგან. სქესობრივი ინსტინქტის დათრგუნვა შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა ხერხმა და გარემოებამ: ერთის მხრივ მისი დაუკმაყოფილებლობამ, მეორეს მხრივ კი - პრივილეგირებულ კლასთა გარყვნილების და თავაშვებულობის შემთხვევებმა, რომლებიც თრგუნავენ “ეჭვიანობის” ინსტინქტს და ცდუნებას, რომლებიც ახდენენ მოქალაქეთა ცოლების და ქალიშვილების დემორალიზაციას. ასეთ “რეპრესიათა” როლი ნაწილობრივ არ იპყრობს დიდ ყურადღებას, ერთი შეხედვით იგი უმნიშვნელოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცადა თავად ინსტინქტის სერიოზულობაში არ მგონია, რომ ვინმე დაეჭვდეს. იმისათვის, რომ საპირისპიროში დავრწმუნდეთ საკმარისია დავაკვირდეთ მრავალრიცხოვან რევოლუციურ გამოსვლებსა და პროკლამაციებს, რომლებშიც მასების აღშფოთება ხელოვნურად ხურდებოდა ამ ჯგუფის ინსტინქტების რეპრესიების ჰიპერტროფირებული აქცენტირების ხარჯზე. ამგვარად ეს გამოსვლები თავისდა უნებურად გამოხატავენ ამ ფაქტორის რევოლუციურ ხასიათს.

“მუშებო, თქვენ თუკი არ გსურთ თქვენი ქალიშვილები გახდნენ მდიდრების ტკბობის საგანნი....აჯანყდით.” პარიზის კომუნის მოწოდება არის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ ემსახუროს პროკლამაციების ასეთი ძალით გავრცელებას. ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ აქ აღნიშნული მოტივი არ ყოფილა ასევე ბაზისურ მიზეზთა და სხვა რევოლუციებს შორის? ნებისმიერს, ვინც ასე თუ ისე იცნობს ისტორიას, მისთვის ცნობილია, რომ რევოლუციურ გამოწვევებს შორის მმართველებს ყოველთვის უყენებდნენ ბრალდებებს უზნეობაში, დაბალი ფენის წარმომადგენელთა ცოლებისა და ქალიშვილების შეცდენაში და საერთოდ მთლიანად ანტურაჟი ჩამოგდებული მთავრობების უმეტესობის ყოველდღიური ცხოვრებისა არაორაზროვნად მიუთითებს მთავრობის სექსუალურ “ცხოვრებაზე,” რომლითაც “რეპრესირებული” იყო სქესობრივი ინსტინქტი.

რომის კათოლიკური ზედაფენის და პაპის ამორალური ქცევა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომაც უწოდეს ეკლესიებს ბაბილონის გზააბნეული და რის გამოც მან დაკარგა თავისი ყოფილი პრესტიჟი და გავლენა ხალხზე.



სიძულვილი ეპისკოპოსისადმი ჩეხებს შორის - ბატების ომის წინ თვითონ ეპისკოპოსი თავისი უზნეო ქცევით თესავდა ხალხში სიძულვილს და ამითი მრევლის დემორალიზაციას ახდენდა. მრავალ მათგანს წაუყენეს ბრალდება გარყვნილებაში, ძალადობაში, დედებან და დებთან სქესობრივი კავშირის დამყარებაში, მონასტრების ბორდელად ქცევაში და ა.შ.

ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ეჭვის გაქრობა და მასების სხვა სექსუალური რეფლექსების ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ კი ეპიკოპატის მორალური პრესტიჟის დაცემაზე. და საბოლოოდ ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფლების არეალი ქრება და მის ადგილას ჩნდება კანონები.

განვიხილოთ 1917 წლის რევოლუციის წინა პერიოდი რუსეთში. რომლები იყვნენ ის საბედისწერო ფაქტორები, რომელთაც საბოლოოდ მოსპეს “ცარიზმი” - იმპერატრის და მის გარშემომყოფთა სექსუალური გარყვნილება. “ახლა არ არის ეს პრინციპული, რადგან მაშინ ასეთი საქციელი იყო გამართლებული.” აი ეს გარყვნილება იყო რუსული რევოლუციის ერთ-ერთი ფაქტორი, ამავეს ვხედავთ ჩვენ დიდი ფრანგული რევოლუციის წინ, მე მაქვს მხედველობაში ყველაფერი ის, რაც მარია ანტუანეტას და მის გარშემომყოფთ წაუყენეს. კერძოდ, ახლაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ადამიანის პრესტიჟი და რეპუტაცია შეიძლება წუთში შეირყეს, ბრალდების წყალობით - როდესაც ბრალს დებენ ამორალობაში ანდა ამ ნიადაგზე სკანდალის შედეგად. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ რომელიღაც თანამედროვე, ცივილიზებული, ძლევამოსილი სახელმწიფოს მთავრობა განაცხადებს თავის დამოკიდებულებას და პრეტენზიას სახელმწიფოს ყველა ქალთან მიმართებაში და გადწყვეტს გაატაროს ეს პრეტენზიები რეალურ ცხოვრებაში.

საჭიროა კი იმის თქმა, რომ მოვლენების ასეთი სახით შემობრუნების შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ რევოლუცია, ოღონდ ეხპერიმენტუმ ცრუცის, ანუ ექსპერიმენტის რომელიც განსაზღვრავს მომავალი გამოკვლევების გზას, საკმარისია გავიხსენოთ, რათა შევიგნოთ ამ ინტინქტთა ჯგუფის მნიშვნელობა მთელი სოციუმისათვის.

5. იგივე ეფექტი ადვილად ექვემდებარება დაკვირვებას, თუკი ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას თავისუფლების იმპულსების დათრგუნვას.

ადამიანთა მიგრაციას, კომუნიკაციებს და მოქმედებათა ყოველ მკაცრ შეზღუდვას მივყავართ ამ იმპულსის დათრგუნვასთან და დაქვეითებასთან. მხოლოდ, მაშინ, როდესაც რეპრესიები გადაკეტავენ შესაძლებლობის ყველა ზღვარს და მთლიანად “გაიხსნებიან” ის ინსტინქტები (პავლოვის ექსპერიმენტი ძალზე - მან ძალს მოუწამლა თავისუფლების ინსტინქტი და ამით იგი განწირული იყო ხანგრძლივი შიმშილით სიკვდილისათვის). ანუ, როცა ადამიანები გადაიქცევიან “ზოოლოგიურ მონებად,” სწორედ ეს დათრგუნვა შეიძლება იყოს რევოლუციური კონტრეაქციის მაპროვოცირებელი. აი ამ ზღვრამდე რეპრესიის ზრდას თან ახლავს ნებისყოფის ზრდა წინააღმდეგობის გასაწევად და შესაბამისად ასტიმულირებს არსებული რეჟიმის დამხობას. აი, რატომ მივყავართ ასეთი რეჟიმისა და დესპოტიზმის დამხობას გარდაუვალ სოციალურ აფეთქებამდე. თუკი არ არის იმ მოწინააღმდეგე ძალების კონტროლი, რომელთაც შეუძლიათ დროებით გადაწიონ აფეთქების ვადა და მოახდინონ თავისუფლების ინსტინქტის



ანიჰილირება. თავისუფლების რეფლექსისა და დეზორგანიზებულ აფეთქებას შორის გაზრდილი რეპრესია დამახასიათებელი არის მთელი მრავალსაუკუნოვანი სამყაროს ისტორიისათვის და ჩანს არ არის საჭირო რომელიმე კონკრეტული მაგალითის მოყვანა.

ასევე შეგვიძლია ვისაუბროთ სხვა თანდაყოლილი თუ შემდეგ შემენილი ინსტინქტების დაქვეითებაზე. თუმცა თითოეული მათგანი აღებული ცალკე - მხოლოდ აუცილებელი ელემენტია საყოფაცხოვრებო სისტემაში. (გავიხსენოთ ანდაზა: პრიმუმ ვივერე დეინდე პკილოსოპკარე - ჯერ გადავრჩეთ, შემდეგ კი ვიფილოსოფოსოთ) თუმცადა მათი როლი არცთუ ისე მნიშვნელოვანია სიცოცხლისათვის.

6. ავიღოთ ინსტინქტების შემდეგი ჯგუფი - რომელიც არის მემკვიდრეობითი შესაძლებლობების თვითგამოხატვა. განსხვავება თანდაყოლილ შესაძლებლობებში არის არსი და ფაქტი, რომელიც დადგენილია, თუმცა ის დევს ადამიანთა პროფესიონალური არჩევანის გაკეთების უნარში. მივიჩნით, რომ სოციალური სელექციის მექანიზმი და განაწილება შეწყდა და უნდა იფუნქციონეროს, ანდა ინდივიდები იწყებენ იმ პოზიციების დაკავებას, რომლებიც წინათ არ შეესაბამებოდა მათ ნიჭს: დაბადებით მმართველნი, ან “ციცერონნი” ხდებიან ჩვეულებრივი მშრომელები და ა.შ. მაშინ რაღა მოსდის ასეთ საზოგადოებას? ყველა ამ ადამიანის თვითგამოხატვის ინსტინქტის დათრგუნვა გამოვლინდება საკმაოდ უსაზღვროდ. არცერთი მათგანი არ იქნება კმაყოფილი მის მიერ დაკავებული საზოგადოებრივი პოზიციით და ყველა დაწყევლის ამ კავშირებს, ოცნებობენ რა არაფერ სხვაზე მისი დანგრევის გარდა. ამავდროულად ყოველი მათგანი უპირატესობას ანიჭებს ჩადოს თავისი ძალების მინიმუმი მათთვის არასაინტერესო პროფესიაში. შედეგად “რეპრესირებული” ინსტინქტების მქონე ადამიანთა ჯგუფები ჯანყდებიან. “დაბადებით” მმართველი, რომელიც გახდა უბრალო მუშა გახდება კონსპირაციული ორგანიზაციის ლიდერი. “ციცერონი” გახდება პროპაგანდისტი, “ორგანიზატორი” შექმნის არალეგალურ პარტიას; “პოეტი” განადიდებს რევოლუციას და ყველა დანარჩენი ინდივიდები კი შეადგენენ რევოლუციურ არმიას და აი სწორედ ამგვარად იქმნება რევოლუციური გარემოც.

ჩვენ მხოლოდ ვიფანტაზიორეთ საზოგადოებაში ინდივიდის არაადექვატური რეპრესიული განაწილების შესაძლებლობაზე, მაგრამ ჩვენმა ჰიპერბოლამ რეალობიდან შორს წაგვიყვანა. არ არის ძნელი დავინახოთ მსგავსი რამ ნებისმიერ წინარევოლუციურ საზოგადოებებში, როდესაც ადამიანების სოციალური პოზიციების შესატყვისობა მის შესაძლებლობებთან, განსაკუთრებით თანდაყოლილ ტალანტებში, უბრალოდ არ შეიმჩნეოდა. ამიტომ არის, რომ ხშირად გვხვდება ასეთ პერიოდებში ადამიანები, რომლებსაც თვითგამოხატვის ინსტიქტი დათრგუნული აქვთ და რომელიც დამატებით კიდევ ითრგუნება არაფრისმაქნისი ინდივიდების ხელ ოვნურად შექმნილი დიდებისა და პრივილეგიებისაგან. აქედან გამომდინარე, რევოლუციური განწყობილება მრავალი რეპრესირებული ინდივიდის: მწერლების, ჟურნალისტების, მეცნიერების, მეწარმეების, საზოგადო მოღვაწეების და აგრეთვე სხვა მრავალი ადამიანების, რომლებიც სოციალური პირამიდის ძირში არიან, იჩაგრებიან თვითნათი სოციალური პოზიციის გამო და მიესალმებიან ნებისმიერს, ვინც მათ გაანთავისუფლებს რეპრესიული რეჟიმის ბრჭყალებისაგან.



იგივე შეიძლება ითქვას სხვა ინსტიტუტების დათრგუნვაზეც, რომელსაც მეტნაკლებად იგივე შედეგებამდე მივყავართ. რასაკვირველია, რომ რეპრესიული ინსტიტუტების რევოლუციური გავლენა ზოგადად რჩება შეუმჩნეველი, ხოლო რაც შეეხება რევოლუციის ხილულ მიზეზებს, არის აბსოლუტურად სხვა. მაგალითად: ახალი საწარმოებრივი კანონის შემოღება, ლოცვის წიგნის დაკანონება, გენერალური შტაბის მოწვევა, რელიგიური დოგმების გარშემო კამათი და საერთოდ ამის მსგავსი სხვა მრავალი რამ. იმის დაშვება, რომ ასეთმა კონკრეტულმა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიონ რევოლუციური მოძრაობის პროვოცირება, ადამიანების ინსტიტუტების წინასწარი დათრგუნვის გარეშე, სულ ცოტა გულუბრყვილობაა. ეს ყველაფერი რაც ჩამოვთვლით შეიძლება იყოს ნაპერწკალი დენთით სვსე კასრში. მათი რევოლუციური პოტენციალი უმნიშვნელოა და არ იწვევს რევოლუციურ ქარიშხალს. მაგრამ როდესაც ინსტიტუტების დათრგუნვა მიმდინარეობს, მაშინ ნებისმიერი უმნიშვნელო ნაპერწკალიც საკმარისია რევოლუციური აფეთქებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რევოლუციის გრანდიოზული დრამის, კომედიის ან ტრაგედიის დადგმა განპირობებულია რეპრესიული თანდაყოლილი რეფლექსებით. მხოლოდ მათზეა დამოკიდებული გათამაშდება თუ არა პიესა სახელწოდებით “რევოლუცია”. თუ გათამაშდა, ეს პიესა იქნება წარმატებული. მნიშვნელობა ჭეშმარიტი იმპულსების ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთობლიობა მთელი რიგი პირობითი რეფლექსებისა. უკანასკლელმა შეიძლება განსზღვროს მხოლოდ მიზანსცენა, ვარცხნილობები, გარდერობი და სხვა. “იდეოლოგიური” ფაქტორები განსაზღვრავენ უფრო კონკრეტულ ფორმებს: მონოლოგებს, დიალოგებს და რევოლუციის მონაწილეთა შემთხვევით რეპლიკებს. მათზეა დამოკიდებული რა იქნება წაწერილი დროშაზე. მაგ: “წმინდა მიწა”, “ჭეშმარიტი რწმენა”, “კონსტიტუცია”, “დემოკრატია”, “რესპუბლიკა” და ა.შ. ისინი განსაზღვრავენ ასევე რევოლუციის პოპულარულ გმირებს. ეს იქნება ქრისტე, რუსო, ლუთერი, მარქსი, ტოლსტოი და ა.შ.

ზეპირი და ბეჭდითი პროპაგანდა, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანია მასების უკმაყოფილების საერთო მოთხოვნილებების კრისტალიზაციაში., მაგრამ მოქმედებაში მოდის მხოლოდ მასების ინსტიტუტების დათრგუნვის შემთხვევაში. მის გარეშე ეს პროპაგანდა უძლურია რაიმე სახის სოციალური აფეთქების პროვოცირებაში. მაგ: რუსეთის მთავრობის არაერთი მცდელობის მიუხედავად მონარქიის პროპაგანდისა, მას არ მოუტანია რეზულტატი და პირიქით, პროპაგანდა სოციალიზმის, კომუნზმის და სხვა რევოლუციური მიმდინარეობების მიმდინარეობდა საკმაოდ წარმატებულად. რუსეთის რევოლუციის მაგალითი არ არის ერთადერთი. უბრალოდ ის ამტკიცებს იდეას იმის შესახებ, რომ “მეტყველების რეფლექსები” თავისთავად არ გამოიწვევიან განსაკუთრებული მუდმივობით. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ “იდეოლოგიურ ფაქტორებზეც”. მათი როლი მდგომარეობს მხოლოდ მისცეს რევოლუციას რაღაც კონკრეტული ფორმა. მაშინ როდესაც თვითონ მთავარი მოვლენა, რევოლუცია, არის მასების ძირითადი ინსტიტუტების დათრგუნვა.

რომელი სოციალური ჯგუფები ხდებიან რევოლუციური? რა ხარისხით და რატომ? დავუშვათ რომ ჩვენს თეორია სწორია, მაშინ აქედან გამომდინარეობს: 1) რევოლუციამდელ პერიოდში ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ მასების ძირითადი ინსტიტუტების ძლიერი დათრგუნვა 2) ნებისმიერ სზოგადოებაში ის ინდივიდები და ჯგუფები იქნებიან მიდრეკილნი რევოლუციური ქმედებებისაკენ, რომელთა ძირითადი ინსტიტუტებიც იქნება რეპრესირებული 3) ვინაიდან



დათრგუნული ინსტიტუტები სხვა და სხვა ჯგუფებისა და ინდივიდებისა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხასიათით და სიღრმით, მაშინ თეორიის შესაბამისად მათი ხასიათი და სიღრმე უნდა განსაზღვრავდეს: რამდენად ღრმად შევიდა თითოეული ჯგუფი რევოლუციურ დისპოზიციასში, რომელი მათგანი დაიწყებს რევოლუციას პირველი, რა თანამიმდევრობით დაიწყებენ რევოლუციაში შესვლას დანარჩენი ჯგუფები. მაგალითად: რევოლუციამდელი წყობილება თრგუნავდა საზოგადოების რაღაც ერთი ჯგუფის შემდეგ

ინსტიტუტებს: -ა,ბ,გ,დ,ე,ვ

მეორე ჯგუფში-ა,ბ,გ,დ,ზ

მესამე ჯგუფში-ა,ბ,გ,თ

მეოთხე ჯგუფში-ა,ბ,ი

მეექვსე ჯგუფში ა

დავუშვათ, რომ უფრო ძლიერი ინსტიტუტები და შესაბამისად სხვებზე უფრო რეპრესირებული იქნება საწყისი ასოებით აღნიშნული ინსტიტუტები. ადვილი შესამჩნევია, რომ ადამიანთა პირველი ჯგუფი ამ შემთხვევაში იქნება ყველაზე რევოლუციურ-ექსტრემისტული და ყველაზე ბოლო დატოვებს რევოლუციურ ბასტიონებს, ვინაიდან მისი იმპულსების დაკმაყოფილება და შეჩერება გარკვეულ საზღვრებში უფრო ძნელია. ყოველი შემდგომი ჯგუფი უფრო ზომიერია თავის რევოლუციურ მოთხოვნებში, ამიტომ უფრო მალე გამოვა რევოლუციური მოქმედებებიდან. ეს სქემა, გამომდინარე თეორიიდან, ხსნის რელურ ქმედებებს ხვადასხვა ჯგუფებისას რევოლუციის პერიოდებში.

რა დასკვნები გამომდინარეობს ჩვენი ფუნდამენტური თეორიიდან? სწორია თუ არა ის? ვფიქრობ, რომ კი. განვიხილოთ პირველი სამი განლაგება. ნებისმიერ საზოგადოებაში, რევოლუციის წინაპერიოდის განხილვა გვიჩვენებს, რომ ყველაზე ფართო სოციალური ჯგუფების ძირითადი ინსტიტუტები უმოწყალოდ ითრგუნება.

განვიხილოთ 1917 წლის რევოლუციის წინაპერიოდი რუსეთში. რა ხდება აქ?

- 1) 50-60 მილიონი მობილიზებული ჯარისკაცის ინდივიდუალური თვითგადარჩენის ინსტიტუტის უმოწყალოდ დათრგუნვა.
- 2) 95%-ზე მეტი მოსახლეობის ჯგუფური თვითგადარჩენის ინსტიტუტის უმოწყალოდ დათრგუნვა.
- 3) საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების დეზორგანიზაციიდან გამომდინარე და ქალაქების საკვები პროდუქტებით მომარაგებიდან გამომდინარე, საკვებგადამამუშავებელი ინსტიტუტის უმოწყალოდ დათრგუნვა.
- 4) 1914 წელს სამხედრო მდგომარეობის შემოღების გამო თავისუფლების ინსტიტუტის უმოწყალოდ დათრგუნვა.



5) კერძომესაკუთრული ინსტიტუტის დათრგუნვა, გამოწვეული ერთის მხრივ, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკებით. ესენი არიან მუშები, სახელმწიფო მოხელეები, ბურჟუაზიის და გლეხობის ნაწილი, მეორეს მხრივ, სახელმწიფოს ჩარევით ეკონომიურ ურთიერთობებში. მაგ. ფიქსირებული ფასების დადება ხორბალზე, რომელიც ყოველთვის დაბალია საბაზროზე.

6) მოსახლეობის სექსუალური ინსტიტუტის დათრგუნვა, რაც გამოიწვია მმართველი წრეების აღვირახსნილობამ.

ჩვენ არ გავჩერდებით ადამიანის სხვა ინსტიტუტების რეპრესიებზე და აგრეთვე ხელისუფლების უძლურებაზე მართოს ეს რეპრესირებული იმპულსები. ამას ჩვენ დავუბრუნდებით ოდნავ მოგვიანებით.

მოვლენების ასეთი განვითარება საკმარისი იყო იმისათვის, რომ მომხდარიყო რევოლუციური აფეთქება. ამას სპეციალურად არავინ არ ამზადებდა, მაგრამ მას ყველა ელოდა როგორც მეხის გავარდნას, მაგრამ არ იცოდნენ ეს როდის მოხდებოდა და მართლაც, რევოლუცია დაიწყო. რომელი ჯგუფები იყვნენ გარეული ამაში? აღმოჩნდა, რომ ამაში გარეული იყო დაახლოებით მოსახლეობის 95%, რომლებსაც ყველა ან თითქმის ყველა ძირითადი ინსტიტუტი ჰქონდათ დათრგუნული. პირველი აფეთქების შემდეგ დაიწყო საინტერესო პროცესი: სხვა და სხვა ჯგუფები როგორ ელოდებოდნენ თავის დროს, როგორ ხდებოდა მათი თვითგამორკვევა და ბოლოს რევოლუციიდან ასე ვთქვათ, წარმატებული გამოსვლა.

ზევით აღწერილი სქემა მსგავს პროცესებზე დაკვირვების შედეგია. მოსახლეობა ერთსულოვანი იყო ძველი რეპრესიული რეჟიმის დანგრევაში, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ეს ერთსულოვნება გაიფანტა როგორც ფერფლი და წარსულში ეს ერთიანი ჰომოგენური მასა უკმაყოფილო ადამიანებისა დიფერენცირდება და იშლება სექტორებად მათი დათრგუნული ინსტიტუტების ტიპების შესაბამისად. 2-3 კვირის შემდეგ, 1917 წლის 12 მარტს წარმოიქმნა ხელისუფლების პირველი დუალიზმი-საბჭოები და დროებითი მთავრობა. მონარქიის დაცემამ მოსპო საზღვრები კომერციული და ინდუსტრიული კლასების მოღვაწეობის. მოსპო აგრეთვე საზღვრები სოციალური და მუნიციპალური თანამშრომლობისათვის, რომლებისთვისაც უმაღლეს პოზიციებზე გასასვლელი გზები დაკეტილი იყო. აგრეთვე გზა გაეხსნა საშუალო ოფიცრებს, გარკვეული ჯგუფების ინტელექტუალურ შემოქმედებას. ყველა ეს ჯგუფები ამ ეტაპზე დაკმაყოფილდნენ. ისინი წარმოადგენდნენ იმ ბირთვის, რომლებიც გავლენას ახდენდნენ დროებით ხელისუფლებაზე, რომ შეეჩერებინათ რევოლუციის შემდგომი განვითარება. შიმშილი, სიცივე, ომი, მონოტონუტი ფიზიკური შრომა მათ განსაკუთრებით არ ეხებოდათ, ვინაიდან იმ მომენტისათვის მათი დათრგუნული ინსტიტუტები ნაწილობრივ უკვე იყო დაკმაყოფილებული.

სხვანაირად ვითარდებოდა მუშების, ჯარისკაცების, გლეხების დამნაშავეების და საზოგადოების სხვა ნარჩენების მდგომარეობა. ამ ჯგუფებს დროებით მთავრობასთან ერთად არ სურდათ ამ ომის შეჩერება. აი ამიტომ იყო, რომ ჯარისკაცების თვითგადარჩენის ინსტიტუტის დათრგუნვა არ იჯო მოსპობილი და ამიტომ ისინი არ დაკმაყოფილდნენ პირველი ეტაპით-თებერვლის რევოლუციით.



რა მოუტანა ამ რევოლუციამ მასას?

ფაქტიურად არაფერი, გარდა თავისუფლებისა ქალაქებში. არ შეცვლილა მათი ეკონომიური მდგომარეობა. პირიქით, სიღარიბე კიდევ უფრო იზრდებოდა, ხოლო მძიმე მონოტონური შრომა ქარხანა-ფაბრიკებში ისევ გრძელდებოდა. ბურჟუაზია, რომელიც ყველგან ჩანდა, მათში მხოლოდ შურს იწვევდა, მაგრამ როლი რომელსაც თამაშობდა მასა, რჩებოდა ძალიან უმნიშვნელო. პრაქტიკულად არანაირი განსხვავებები არ იყო გაუქმებული. სხვა სიტყვებით, მუშები იძულებულნი იყვნენ რევოლუცია განეხლებინათ. იგივე ეხება გლეხობას. თებერვლის რევოლუცია მხოლოდ პირდებოდა აქტიურად მათ არ მისცა მიწები და არ შეუმცირა მათ ვალდებულება ხორბლისა და სხვა პროდუქტების დამზადების. პირიქით, უფრო გაეზარდათ ვალდებულებები. ასე რომ, ოქტომბრის რევოლუცია გახდა გარდუვალი შემდეგი 3 ჯგუფისათვის: მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისათვის.

ოქტომბრის გადატრიალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მოიხსნა მრავალი შეზღუდვა, რომლებიც ახდენდნენ ზეწოლას ამ სამი ჯგუფის ადამიანებზე: გლეხებმა მიიღეს სანქცია მემამულეთა მიწების მიტაცებაზე, ჯარისკაცებმა მიიღეს უფლება შეეწყვიტათ ომი და სახლებში დაბრუნებულიყვნენ, მუშებმა მიიღეს მუშაობის უფლება. რაც შეეხება საზოგადოების დანარჩენ ნარჩენ ნაწილს: დამნაშავეებს, ავანტიურისტებს და სხვა, მათაც მიიღეს ადგილები ხელისუფლებაში და მიიღეს სრული თავისუფლება ემარცვათ და მოეკლათ, თუ ეს მიმართული იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აი ასეთი საშუალებებით აიღეს ძალაუფლება ბოლშევიკებმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

მაგრამ ორი თვეც არ იყო გასული რევოლუციიდან, რომ სურათი ნელა-ნელა შეიცვალა. გლეხობამ საბოლოო ჯამში არაფერიც არ მიიღო, პირიქით სულ უფრო და უფრო მეტი პროდუქტი ექვემდებარებოდა ყაჩაღობას. აქედან გამომდინარე გახშირდა გლეხების ბუნტები და მათი განდგომა რევოლუციისგან. დაახლოებით იგივე მდგომარეობაში იმყოფებოდა წითელი არმია. მუშათა კლასმაც 1919-20 წლებში გამოიარა შიმშილი, იძულებითი შრომა, ბიუროკრატია და ახალი მთავრობის ტირანია. მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების არაერთი აჯანყების შემდეგ 1921 წელს ახალი მთავრობა დადგა გადაგდების ზღურბლზე. ის ძალაუფლებას მხოლოდ უმკაცრესი რეპრესიებისა და ახალ-ახალი შეზღუდვების წყლობით ინარჩუნებდა. ამის გარდა, ძალაუფლების შესანარჩუნებლად დაუწესდა მრავალრიცხოვანი პირადი დაცვა მსხვილი სახელმწიფო მოღვაწეებს. მთავრობამ შეძლო, რომ ინტელიგენციის ნაწილი, განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მაღალი ანაზღაურებით მოესყიდათ და ეთანამშრომლათ მათთან. მაგრამ იმისათვის, რომ მათთვის გადაეხადათ, ისინი იძულებულნი იყვნენ ხალხს ემარცვათ. ინსტიტუტების დათრგუნვის ამ ახალმა ტაალდამ გამოიწვია ის, რომ 1922-1924 წლებში ისინი ფაქტიურად აღმოჩნდნენ ბოლშევიკების მტრულ ბანაკში.

მსგავსი მდგომარეობა ანუ ძირითადი ინსტიტუტების დათრგუნვა უდაოდ მიმდინარეობდა საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციის წინ.

აფეთქება გარდუვალი იყო და იგი მალევე განხორციელდა. რევოლუციას მარს უჭერდა საზოგადოების უმრავლესობა. რევოლუციის რადიკალიზაცია და მისგან სულ ახალ-ახალი



ინდივიდების განდგომა დემონსტრირებას უკეთებს ზემოთ ხსენებულ რევოლუციის კანონებს. როგორც კი რევოლუციაში მონაწილე რომელიმე ჯგუფი დაიკმაყოფილებდა დათრგუნულ ინსტიტუტებს, ის მაშინვე კარგავდა ინტერესს რევოლუციისადმი და როგორც კი რევოლუციური ხელისუფლება აიძულებდა მას მონაწილეობისაკენ, ის მის წინააღმდეგ იწყებდა გამოსვლას.

საფრანგეთში უკიდურეს ექსტრემიზმს ავლენდნენ ხელმოცარული ინტელექტუალები, დამნაშავეები, მუშები და ავანტიურისტები, რომლებიც შეადგენდნენ იაკობინელებს. ისინი სხვა მსგავს ჯგუფებთან კავშირში წარმოადგენენ რევოლუციის ჩიხში შემყვანებს. მუშები და ვაჭრები თავდაპირველად იაკობინელებს მხარს უჭერდნენ, მაგრამ როგორც კი იგრძნეს თავიანთი ძირ. ინსტიტუტების ხელმეორედ დათრგუნვა (შიმშილი, უმუშევრობა და სხვა) მათ მაშინვე დაიწყეს გადსვლა რევოლუციის მტრების მხარეზე და ცდილობდნენ შეეჩერებინათ რევოლუცია. გლეხობა გათავისუფლდა რა ფეოდალური უღლისაგან და მიიტაცა მიწები, ასევე დაკარგა ინტერესი რევოლუციისადმი, მაგრამ როგორც კი შეეხნენ მათ უფლებას გაუთავებელი რეკვიზიციის სახით, ისინიც მაშინვე მტრად მოუბრუნდნენ რევოლუციურ მთავრობას. იგივე დაემართათ სასულიერო პირებსაც.

აქაც, როგორც ყველგან თავდაპირველი რევოლუციური გზნება, რომელიც იყო დამყარებული გრძნობათა ერთიანობაზე, იყო ერთსულოვანი, მაგრამ მოგვიანებით განხსვავებამ სიღრმეში და დათრგუნულ ინსტიტუტებში გამოიწვია რევოლუციური ნაკადის დაყოფა სხვა და სხვა ნაწილებად. რაც უფრო შორს მიდიოდნენ რადიკალები, მითუფრო, “მშრალი” ხდებოდა ნაკადი. წარმოიქმნებოდა ასე ვთქვათ უკუდუნება იმ ჯგუფების ხარჯზე, რომელთა ინსტიტუტებიც დაკმაყოფილდა. ამავდროულად რევოლუციური ავანგარდი იწყებს ამ დაკმაყოფილებული ჯგუფების რეპრესიებს და თავისივე ხელით აყენებს მათ მტრების რიგში.

ჩვენ თანდაყოლილი რეფლექსების ანალოგიური დათრგუნვა შეგვიძლია დავინახოთ რევოლუციის წინ ინგლისშიც.

მეფე კარლ 1-ის მეფობის პერიოდი იყო ტირანიის პერიოდი. კანონები და ნაციის უფლებები სისტემატიურად ირღვეოდა. მეფის დაპირებები არ სრულდებოდა. ახალი გადასახადები და მონოპოლიები წესდებოდა ისეთ საქონელზე, როგორცაა: მარილი, საპონი, ქვანახშირი, ღვინო, ტყავი, საახამებელი, თამბაქო და სხვა. მოსახლეობა იყო გაკოტრებული. სამეფო შემოსავალი კი იზრდებოდა კერძო საკუთრების დესპოტური ანექსიის შედეგად. მოსამართლეები და უმაღლესი ადმინისტრაცია იყო კორუმპირებული. ამის გარდა, ძლიერ რელიგიურ ზეწოლას განიცდიდნენ როგორც უბრალო ადამიანები, ისე სასულიერო პირები. იყო უმკაცრესი რელიგიური ცენზურა და ა.შ. საჭირო იყო უდიდესი ძალისხმევა იმისათვის, რომ ინსტიტუტების ასეთი დათრგუნვა ხალხს გადაეტანა. მაგრამ რეპრესიები დიდხანს ასე ვერ გაგრძელდებოდა და ადრე თუ გვიან ის იფეთქებდა.

ინგლისური რევოლუციის შემდგომი განვითარება სხვა და სხვა ჯგუფების

რადიკალიზაციის თვალსაზრისით შეესაბამება ჩვენი თეორიის “2” და “3” პუნქტებს.



განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: XIV საუკუნის ჩეხური საზოგადოება.

ჰუსიტური ომების პერიოდში თავისუფლება და სოციალური თანასწორობა ფაქტიურად არ არსებობდა. ფეოდალური წესები სულ უფრო და უფრო რეპრესიული ხდებოდა, გადასახადები იზრდებოდა. არისტოკრატის გამდიდრების პარალელურად ხალხი ღატაკდებოდა. ექსპლუატაცია თავადაზნაურობის მხრიდან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. რომელ სამართლიანობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა დამჩაგვრელი თვითონ მოსამართლე იყო. გლეხობა კარგავდა მიწებს. იმის განცდა, რომ ჩეხები ნელ-ნელა ხდებოდნენ მონები, სულ უფრო ძლიერდებოდა. აქედან ჩანს რამდენად ძლიერ დათრგუნული იყო ჩეხი ხალხის ადამიანური ინსტიქტები რევოლუციამდე.

ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, რომ რევოლუციურ მოძრაობაში ჩართულ ადამიანთა ჯგუფების რიცხვი საკმაოდ დიდია. ისინი უკიდურესად განსხვავებულია და შედგება სხვა და სხვა სოციალურ პოზიციებზე მდგომი ადამიანებისაგან. მათ შორის შეიძლება შეგვხვდეს დამცირებული პროფესორი, გაზეთის გადაყენებული რედაქტორი, გაკოტრებული ბანკირი, გაღარიბებული არისტოკრატი, მშვიერი მუშა, დამნაშავე და სხვა. ზოგი შურის მაძიებელია, ზოგი-მშიშარა, ზოგი შეპყრობილია საზოგადოებრივი ურთიერთობების გაუმჯობესების სურვილით და ა.შ.

ყველა ეს მოტივი მეტი არაფერია თუ არა სხვა და სხვა ფორმები დათრგუნული ინსტიქტების გამოვლენისა, როდესაც სოციალური წყობა უკვე შერყეულია, ხოლო რევოლუციისაკენ გზა ღიაა რუსოს, ვოლტერის, მარქსის, პლეხანოვისა და სხვათა იდეებისათვის. მათი ზეგავლენით ხდება რევოლუციური პროცესების გაღრმავება, რომელსაც ბოლოს მოსდევს კოლაფსი. ჩვენი მოსაზრება სამართლიანია და ვანსხვავებთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას რევოლუციონერობის ხარისხით. პროფესორი ე.ჰაიესი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ქალაქელები, როგორც წესი, უფრო რევოლუციურები არიან ვიდრე სოფელები. უფრო მეტიც, მასინ როცა ქალაქელები ხშირად გამოდიან გამღივებლების როლში, სოფელში ხშირად რევოლუცია ქრება. ამის მაგალითად გამოდგება მოვლენები რუსეთში, უნგრეთში, ბავარიისა, იტალიაში. უფრო ადრე კი საფრანგეთში პარიზის კომუნის დროს.

რატომ ხდება ეს? პირველ რიგში იმიტომ, რომ ადამიანი თვისი ინსტიქტებით და რეფლექსებით უფრო ნაკლებად ეგუება ქალაქის პირობებს, ვიდრე სოფლისას. ქალაქი-შედარებით უფრო გვიანდელი მოვლენაა ადამიანის ისტორიაში, განსაკუთრებით თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქი. ადამიანები საუკუნეების მანძილზე ეგუებოდნენ სოფლის ყოფას და არა ქალაქისას. მაგრამ ისტორიის გაგებით სოფლიდან ქალაქში მთელი ინსტიქტებით მოხვედრილი ადამიანი თავს არაკომფორტულად გრძნობს.

როგორია მისი ცხოვრების პირობები? იგი მუშაობს დახურულ სივრცეში. ქუჩაში გრუხუნი და ხმაურია, დაჰქრინან ფოლადის მანქანები და ა.შ. ერთი და იგივე სამუშაო მეორდება ყოველდღიურად, მექანიკურად, მონოტონურად და არაფერს არ აძლევს გულს და ტვინს. სად და როდის მოხდა ადამიანური ინსტიქტების ადაპტირება ასეთ პირობებთან და საერთოდ შეუძლია თუ არა ადამიანს დაკმაყოფილდეს ასეთი პირობებით? რა თქმა უნდა არა. ასეთ პირობებში ვერ



ნახულობს გამოსავალს ადამიანის შემოქმედება, ნოვატორობა და სხვა დადებითი იმპულსები. დავუმატოთ ამას ის ფაქტი, რომ პროლეტარიატს არ გააჩნია არანაირი საკუთრება და მასთან ბატონობს სიღარიბე. აქედან გამომდინარე განა გაასაკვირია, რომ პროლეტარები მუდამ იხრებიან რევოლუციისაკენ.

ყოველივე ზემოთ თქმული ამყარებს ჩვენს თეორიას რევოლუციის გენეზისის შესახებ.

ხელისუფლებისა და სოციალური კონტროლის დეზორგანიზაცია: გარდა ადამიანის ძირითადი ინსტიქტების დათრგუნვისა არსებობს კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც აუცილებელია რევოლუციური აფეთქების დასაწყებად. ეს არის არასაკმარისი წინააღმდეგობა რეპრესირებული მასების რევოლუციური ქმედებების წინააღმდეგ. არასაკმარისის ქვეშ იგულისხმება ხელისუფლების და სახელისუფლებო ელიტის მიერ გატარებული ღონისძიებები.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანი შეიძლება მიიყვანო უკიდურეს შიმშილამდე,

თუმცა თუ საფეთქელთან იარაღს მიუტან, ის არ მიეკარება მის წინ დადებულ საჭმელს. ანალოგიურად უნდა ვიფიქროთ ადამიანებზე დათრგუნული ინსტიქტებით. ყოველ საზოგადოებაში, მისი განვითარების ნებისმიერ პერიოდში ჩვენ აღმოვაჩინეთ მოსახლეობის დიდი ნაწილის ინსტიქტების რეპრესია. და თუ ამ რესურსებს არ მივყავართ კატაკლიზმებამდე, ან ბუნტებამდე, მხოლოდ ხელისუფლებისა და მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილის წინააღმდეგობის გამო. მართლაც, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ისტორიაში ისეთი პერიოდები, როდესაც ადამიანის ინსტიქტები უკიდურესად ითრგუნებოდა, მაგრამ რევოლუციამდე არ მისულა. უბრალოდ, მოსახლეობის ის ერთი ნაწილი ნელ-ნელა განადგურდა და მეორე – გაბატონდა. ამის მიზეზი არის უკიდურესად ძლიერი და მოქმედი სახელმწიფო კონტროლი. დაპყრობები, ოკუპაციები, ანექსიები მოცემულ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამის მაგალითი.

გავიხსენოთ ბელგია და საფრანგეთის ნაწილი, რომელიც ოკუპირებული იყო გარმანიის მიერ მსოფლიო ომის დროს, ან რურის აუზი, რომელიც დაიპყრეს საფრანგეთმა და ბელგიამ 1923 წელს. რუსეთი, რომელიც დაიმონეს ინტერნაციონალმა არამზადებმა და რომლებსაც 1921-1922 წლიდან ვერ იტანენ იმაზე არანაკლებად, ვიდრე გერმანელებს ბელგიაში და საფრანგეთში. ან ახლა როგორც ვერ იტანენ ფრანგებს და ბელგიელებს რურში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა მაინც შეძლეს თავიდან აეცილებინათ პოტენციური რევოლუცია.

სხვა სიტყვებით, რევოლუციის ასაფეთქებლად ცოტაა მხოლოდ ინსტიქტების დათრგუნვა, საჭიროა აგრეთვე ხელისუფლება და მმართველი წრეები არ უწევდნენ ძლიერ და ეფექტურ წინააღმდეგობას.

წინარევოლუციური ეპოქის ატმოსფერო ყოველთვის გვაკვირვებს ხელისუფლების უმოქმედობით. ისინი ზოგჯერ არ არიან მზად შეასრულონ ელემენტარული სახელისუფლებო ფუნქციები. მათ არ შეუძლიათ ოპოზიციის დანაწევრება და დასუსტება, რეპრესიების შემცირება, ან ის რომ მოახდინოს რეპრესიული ინსტიქტების არარეპრესიულში გადასვლა. პრაქტიკულად,



ყველა რევოლუციამდელი მთავრობა არის, ასე ვთქვათ, ანემიური, უძლური, მერყევი, არაკომპეტენტური და წინდაუხედავი.

ძველ რომში ძმები გრაკების მოძრაობის დაწყებამდე ჩვენ ვხედავთ მსგავს ხელისუფლებას: ბრძენი, ენერგიული ხელისუფალნის მაგივრად, არის დეგენერატული სენატი. ტ. მომზენი ასე აღწერს ამ პერიოდს: “არავის არ სურდა მსხვერპლი გაეღო არც თავისი ღირსებით და არც თავისი ცხოვრებით სამშობლოსათვის. გმირების მაგივრად – ლაჩრები, კეთილი სენატორების მაგივრად – გაფუჭებული სენატორები, შეუპოვარი მებრძოლების მაგივრად – მშიშარა და ამორალური ბრბო.”

საფრანგეთში XIV საუკუნის ბოლოს, რევოლუციამდელ პერიოდში მეფობდა

იოანე II, რომელიც იყო უნიჭო მმართველი, უნიჭო მებრძოლი და გარემოცვაც ჰყავდა ისეთივე არააფრის მაქნისი, როგორც იყო თვითონ.

ინგლისში მეფე კარლ I და მისი მთავრობა იყო უძლური რომელიმე ერთი

პოლიტიკური ხაზის გატარებაში. მათ მიღწევები ჰქონდათ მხოლოდ დესპოტიზმში. მთავრობა ხან იჭერდა ოპოზიციონერებს, ხანაც ათავისუფლებდა მათ. იწყებდნენ ომს და არ იცოდნენ როგორ წარემართათ ის. მათ არ შესწევდათ უნარი გაეწიათ პროტექცია ისეთი ფავორიტებისათვის, როგორებიც იყვნენ ბუკინგემი, სტოვ ფორდი, უილიამ ლოდი და სხვები. “არ იგძნობოდა მიზანდასახულობა და ძლიერი ხელი” –წერდა გიზო. ამას ემატებოდა სამეფო კარზე ფულის უაზრო ხარჯვა. მხოლოდ არაკომპეტენტურ მთავრობას შეუძლია ასე წარმატებით საკუთარი ხალხის, თავის წინააღმდეგ ამხედრება.

ცნობილია საფრანგეთის მთავრობისა და არისტოკრატის მდგომარეობა

რევოლუციის წინ: არისტოკრატია იყო აბსოლუტურად უძლური იმისათვის, რომ გაეწია წინააღმდეგობა და არ წასულა არავითარ საჭირო დათმობებზე. რიშალიე სისტემატიურად ასუსტებდა არისტოკრატის სულიერად. ლუდოვიკო XVI კი გააგრძელა მისი საქმე. სკანდალური და უზნეო ქმედებები, უაზრო ლიბერალიზმი, დაკარგული რწმენა საკუთარი უფლებების, ცხოვრების პარაზიტული წესი და სიტუაციის არასწორი შეფასება. ასეთი იყო რევოლუციის წინ ფრანგული არისტოკრატია. 1789-1790 წლებშიც კი როდესაც დაიწყო რევოლუცია “არისტოკრატია განაგრძობდა ღიმილს”.

ანამდე მრავალი ასეული წლების განმავლობაში ფრანგული არისტოკრატია

წარმატებით ასრულებდა მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებს.

მეფე, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს კეთილი, მხიარული ადამიანი. მაგრამ

გავიხსენოთ ნაპოლეონის სიტყვები: “თუ ხალხი ამბობს, მეფე კეთილია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის არის უვარგისი მმართველი”. ლუდოვიკო XVI არ იცოდა როგორ მოქცეულიყო ან რა ელონა შექმნილ სიტუაციაში. მისი მთავრობა შეიძლება იყო წესიერი სხვებთან შედარებით, მაგრამ ეს



იყო კრიზისის მთავრობა. თუ მეფე არ არის არმიის უმაღლესი მთავარსარდალი, უმაღლესი მოსამართლე, ქალაქის კომუნების დამცველი, აზა ვინდა არის ის?

მეფის გვერდით იყვნენ მარია ანტუანეტა და მისი “გალაქული” წრე, რომელიც

კარგად იცნობდა ვოლტერს და რუსოს. უნებისყოფო და არაენერგიული მთავრობა, რომელსაც არ სურდა ღრმად ჩაეხედა შექმნილ სიტუაციაში, უსუსური აღმოჩნდა რევოლუციის დასაწყისშიც, მაშინაც როდესაც 1789 წლის 6 მაისს გაიხსნა გენერალური შტაბი და შემდეგაც რევოლუციის სხვა და სხვა ეტაპზე.

თავდაპირველად მთავრობა ცდილობდა მაინც შეეფერხებინა რევოლუციის

დრამატული მოვლენები, შემდეგ კი საერთოდ მიანება თავი და ასე გაგრძელდა დიდხანს, რაც დამთავრა მეფის სასიკვდილო განაჩენით.

თუმცაღა იგივე არ განმეორდა რუსეთში რევოლუციის დროს? იმპერატორი

ნიკოლოზ II იყო ლუდოვიკოს ზუსტი ასლი. იმპერატრიცა ალექსანდრა კი მარია ანტუანეტასი. ასევე წააგავდა ერთმანეთს საამეფო კარი და გარემოცვა.

ჩვენს წინაა მთელი გალერეა ფიზიკური და ფსიქიურად იმპოტენტი ადამიანებისა.

უბრალოდ რომ გადავხედოთ რა ხდებოდა რევოლუციამდე 30 წლით ადრე, ალექსანდრე III-ეს მეფობის დროს, დავინახავთ რა კატასტროფულ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ხელისუფლების დეგენერაციამ.

რა ხდება ამ დროს არისტოკრატიაში? ის რევოლუციამდე წარმატებით ასრულებს

მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა ფუნქციებს. მაშინ მისი პრივილეგიები სავსებით იყო საფუძვლიანი. მაგრამ XVIII საუკუნის ბოლოს გამოვიდა კანონი თავადაზნაურთა თავისუფლების შესახებ, მათი ყველა პრივილეგიის შენარჩუნებით.. აქედან დაიწყო თავადაზნაურობის, როგორც კლასიის პარაზიტად გადაქცევა და პრივილეგიების ბოროტად გამოყენება. თავადაზნაურთა დიდმა ნაწილმა დაიწყო უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ დიდი ფულის ხარჯვა და სახელმწიფო ხაზინის დაცარიელება. ისინი ფიქრობდნენ არა ქვეყნის კეთილდღეობაზე, არამედ მხოლოდ საკუთარ თავზე. აი რატომ არ უნდა გაგვიკვირდეს თუ რატომ გამოუტანა ისტორიამ რუსულ არისტოკრატას, როგორც რუსეთის სხეულზე ხორცმეტს, მკაცრი განაჩენი.

რუსული არისტოკრატის სიკვდილი მოხდა ყოველგვარი გმირობის გარეშე.

მსგავსი მოვლენები შეიმჩნევა სხვა რევოლუციებშიც. ისტორია მხოლოდ რაღაც პერიოდი ითმენს მტაცებლურ, მკაცრ, ცინიკურ მთავრობას. ვიდრე ისინი არიან ძლიერები და უნდათ და იციან როგორ მართონ სახელმწიფო, მიუხედავად მათი მმართველობის ნეგატიური მხარეებისა ისინი საზოგადოებისათვის სასურველნი არიან.



მაგრამ “კეთილ” და უუნარო, უაზრო, პარაზიტულ, ქედმაღალ და უნიჭო მთავრობას ისტორია დიდხანს ვერ ითმენს.

მმართველი კლასების გადაგვარება ადრე თუ გვიან ხდება გარდუვალი. ეს

გამოწვეულია მრავალი ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორებით.

ზოგიერთი ნიჭიერი მმართველი, მაგალითად რუსული და ფრანგული

რევოლუციების პერიოდიდან, საერთოდ არ გავს თავის შორიულ წინაპარს და იმის მაგივრად, რომ მართოს “ღვთის ნებით” თავისი მმართველობითი ტალანტის სრულიად უქონლობის გამო ხდება “მონა დაბადებიდან”.

ასეთი გადაგვარება ნებისმიერი საზოგადოებისათვის ყოველთვის სახიფთოა და იგი მოასწავებს კატასტროფას. საერთო მდგომარეობა ასეთ დროს რთულდება იმიტომ, რომ იგივე სოციალური პროცესი მოქმედებს უკუმიმართულებითაც, ანუ მოსახლეობის დათრგუნულ ნაწილშიც. მათი შვილები იბადებიან “ზუნებით მმართველნი”. თუ “სოციალური განაწილების მექანიზმი” მუშაობს სრულყოფილად და განათავსებს პირველებს დამოკიდებულ მდგომარეობაში, როდესაც უთმობენ პოზიციის მეორე ნაწილის ლიდერებს, მაშინ აქედან არავითარი საზოგადოებრივი დანაკლისი არ მიიღება. ამ შემთხვევაში პრინციპი “ყველას თავისი შესაძლებლობების მიხედვით” არ ირღვევა, მაგრამ სამწუხაროდ! აქამდე ვერცერთმა საზოგადოებამ ვერ შეძლო გამოეჩინა საზოგადოების წევრთა მსგავსი ცირკულაციის უნარი. მრავალი გარემოება უწყობს ხელს იმას, რომ “სრულყოფილებიანი მმართველები” რჩებიან ხელისუფლების სათავეში, უჭირავთ იგივე პოზიციები, რაც მათ წინაპრებს. მსგავსი განაწილება ხდება აგრეთვე დაბალ კლასებში. საზოგადოებრივი ბალანსი ამგვარად საგრძნობლად ირღვევა.

როდესაც არისტოკრატია ძლიერია და ნიჭიერი, მაშინ არანაირი ხელოვნური ბარიერები არ სჭირდება მას ვიღაცების გამოხტომების დასაცავად, მაგრამ როდესაც არის უნიჭო, მაშინ პირიქით-მას ისევე სჭირდება გარედან ხელოვნური დაცვა, როგორც ინვალიდს ყავარჯენი.

წინარევოლუციურ პერიოდებში მმართველი კლასი ყველანაირი ხელოვნური საშუალებებით ცდილობს აღკვეთოს მათ წრეში ქვედა კლასებიდან ვინმე ჭკვიანის შეღწევა და აკეთებს მონოპოლიზაციას საზოგადოების ყველა უმაღლესი პოზიციების.

მაგალითად, მსგავსი რამ მოხდა ძველ რომში, როდესაც ჩვენს ერამდე II საუკუნეში მიღებული იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ ჰქონდა უფლება მაღალი პოსტების დაკავების.

რადაც ანალოგიური ხდებოდა ინგლისის ისტორიაში, როდესაც ინგლისის რევოლუციის წინა პერიოდში არისტოკრატები მეფესთან ერთად ცდილობდნენ შეეფერხებინათ საზოგადოების დაბალი ფენებიდან ზედა ფენებში ვინმეს გადასვლა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა საშუალო კლასს, რომელიც იმ პერიოდისათვის საკმაოდ მომავრდა. უფრო მეტიც, იყო მცდელობები მათთვის ადრე მინიჭებული უფლება, მიეღოთ მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში, წაერთმიათ და ამით როგორც კლასი, ჩამოეგდოთ ქვევით.



იგივე ხდებოდა რუსულ საზოგადოებაში 1905 წლის რევოლუციის წინ, როდესაც გადაგვარების წინაშე მყოფი მმართველი კლასი ჯიუტად უარს ეუბნებოდა დაბალი ფენებიდან გამოსულ ნიჭიერ, თვითნასწავლ ადამიანებს თანამშრომლობაზე.

არ არის ძნელი იმის გაგება, რომ მსგავსი ქმედებების გამო საზოგადოების სათავეში თავს იყრიან უნიჭო ლიდერები, ხოლო საზოგადოებრივი პირამიდის ძირში თავს იყრის სულ უფრო და უფრო ნიჭიერი დაბალი ფენებიდან გამოსული ადამიანი. ზეწოლა, რომელსაც ახორციელებენ პირველები, უფრო და უფრო ძლიერი ხდება ზუსტად ისევე, როგორც ქვევით მყოფი ადამიანთა უკმაყოფილება. ადრე თუ გვიან ეს აღმართული ბარიერები უნდა დაინგრეს. საზოგადოების კრიზისი ამ პროცესს აჩქარებს, ხოლო როდესაც ხდება რევოლუციური აფეთქება, მაშინ ეს ბარიერები ერთი თვალის დახამხამებაში ინგრევა. რევოლუციის უმოწყალო ცოცხი პირწმინდად გვის მთელ სოციალურ ნაგავს, იმის მიუხედავად, ვინ არის დამნაშავე და ვინ არა. “პრივილეგირებულები”, უცბათ აღმოჩნდებიან სოციალური პირამიდიდან ძირს გადმოგდებულები, ხოლო ქვევით მყოფნი გამოდიან თავიანთი “სოციალური სარდაფებიდან”. ამ სელექციის “საცერში” წარმოიქმნება დიდი ხვრელი, სადაც გაძვრომა დისკრიმინაციის გარეშე მხოლოდ ზოგიერთ ინდივიდს შეუძლია. მაგრამ შემდეგ სტადიაზე რევოლუცია თავის შეცდომებს ასწორებს ახალი “საცერის” განლაგებით და ცირკულაცია იწყებს უკუმოდრაობას. ზუსტად ასე და არა სხვანაირად ვითარდებოდა ყველა რევოლუცია. დაბალი ფენებიდან გამოსული ეს ჭკვიანი ადამიანები შეერევინ ანისტოკრატიის ნარჩენებს და ხდება მთელი ამ სოციალური ორგანიზმის გადაჯგუფება. დროთა განმავლობაში ამ საზოგადოებრივ აგრეგატს შეუძლია წარმატებით იფუნქციონიროს მანამ, სანამ არ დაგროვდება ახალი “რეპრესიები”, “პარაზიტიზმი” და ა.შ., რომლებიც ახალ რევოლუციურ აფეთქებებს გამოიწვევენ. მაგრამ თუ საზოგადოებრივი პირამიდის ძირში ასეთი ადამიანები არასაკმარისია, ან საერთოდ არ არის, ან არ არის გადაგვარებული მთავრობის რეალური შემცვლელი, მაშინ საზოგადოება ახალ ღრმა დეპრესიაში ჩაიძირება. რომის ისტორიაში ეს არაერთხელ მომხდარა, ისტორია ხშირად ეძებდა მონებს, ბარბაროსებს, აჯანყებულებს შორის “თავიანთ ადამიანებს”, მაგრამ სამწუხაროდ ყველა ეს მცდელობა რომის ისტორიაში უშედეგოდ დამთავრდა, რასაც მოჰყვა რომის იმპერიის დანგრევა. ასეთი იყო ის ნოემდე და ასეთი რჩება დღესაც.

ძირითადი მიზეზები, რომელიც ბადებს რევოლუციის მეორე სტადიას: იქიდან გამომდინარე, რაც აქამდე იყო ნათქვამი, თვალნათლივ ჩანს, რომ რევოლუციის II სტადია – კონტრრევოლუცია, გამომდინარეობს I სტადიიდან.

თუ მთავარი მიზეზი I სტადიის მდგომარეობს მასების ძირითადი ინსტიტუტების “რეპრესიაში”, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ II სტადიაც იგივე მიზეზით არის გამოწვეული. როგორც ჩვენ მანამდე ვნახეთ, I სტადია კი არ სპობს ამ “რეპრესიას”, პირიქით, უფრო აძლიერებს მას. მასების მოქმედება, რომელიც ამ შემთხვევაში უკვე ელემენტარული უპირობო რეფლექსებით იმართება, ხდება უმართავი : ერთი უპირობო რეფლექსი ითრგუნება მეორით, ერთი პიროვნება თრგუნავს და მართავს მეორეს და ა.შ. შიშშილი იზრდება, საბოლოოდ კვების ინსტიქტი სულ უფრო მეტად რეპრესირდება, ვიდრე რევოლუციამდე. ადამიანის უსაფრთხოება უფრო და უფრო პრობლემატური ხდება, კატასტროფულად იზრდება სიკვდილიანობა, ირგვლივ



მეფობს დამნაშავეობა, შიმშილი, ეპიდემიური დაავადებები და ა.შ. საბოლოოდ თვითგადარჩენის რეფლექსი აღმოჩნდება უფრო დათრგუნული. ექსპროპრიაცია, რომელიც იწყება მდიდრებიდან, ვრცელდება მთელს მოსახლეობაზე, იზრდება რეკვიზიცია და გადასახადები, რომლებიც კიდევ უფრო თრგუნავს კერძომესაკუთრულ ინსტიქტს. სექსუალური აღვირახსნილობა თრგუნავს სქესობრივ ინტიქტს, ხოლო ახლად წარმოქმნილი კლასის დესპოტიზმი თრგუნავს თავისუფლების ინტიქტს.

საბოლოოდ, რაც უფრო იზრდება ზემოთ ჩამოთვლილი ინტიქტთა რეპრესია და ითრგუნებიან ისინი, მით უფრო ღრმავ საზოგადოების რევოლუციური კრიზისი. სწორედ ისტორიის ამ პერიოდს მიესადაგება ჰობსის თეორია: ყველა ყველას წინააღმდეგ. ადამიანები სულ უფრო და უფრო ნაკლებად არიან ადაპტირებული გარემოსთან და ურთიერთობებთან და მათი საერთო შეფასება გამომდინარე ამ ყოველივედან, შეიძლება გამოვხატოთ სიტყვებით: “ასე უკვე შეუძლებელია, საჭიროა წესრიგი ნებისმიერ ფასად”

ადამიანები, რომლებმაც გამოიარეს შიმშილი, გაჭირვება, ავადმყოფობა და ა.შ., დგებიან დილემის წინაშე: ან უნდა გააგრძელონ რევოლუცია და დაიხოცნონ, ან სხვა რამე გამოსავალი უნდა მოიხონ. და აი უსაზღვრო თავისუფლების მოთხოვნა იცვლება წესრიგის წყურვილით. შემახილები: გაუმარჯოს განმათავისუფლებებს ძველი რეჟიმისაგან, იცვლება შემდეგი შემახილებით: გაუმარჯოს წესრიგის ორგანიზატორებს. ასეთია საერთო სულისკვეთება რევოლუციის II სტადიის. ასე იყო რომში ცეზარის და ავგუსტის დროს, ასე იყო ინგლისში – კრომველის დროს, საფრანგეთში – ნაპოლეონის და რუსეთში–ნიკოლოზ II დროს. ენერგიას, რომელსაც რევოლუციის I ---სტადიის დროს ხალხი ხარჯავს, არ არის ულევია, ადამიანი არ არის პერპეტუუმობილე. ამ დაღლას კიდევ ემატება შიმშილი, გაჭირვება და ეს ყველაფერი იწვევს მასებში აპათიას, ინდიფერენტიზმს და მასა დუნდება. ის რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო რევოლუციის I სტადიაზე, შესაძლებელია. მოსახლეობა, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ინერტულ მასას, ახალი რეპრესირების შემდეგ შეიძლება ადვილად იქნეს ხელახლა “ფორმირებული”. ამრიგად, თვითონ რევოლუცია ქმნის ყველა პირობას წარმოქმნას ახალი დესპოტები და ტირანები.

ეს ორი მიზეზი: მოსახლეობის ინსტიტუტების დათრგუნვის გაგრძელება და უსასრულო დაღლა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ განვითარდეს კონტრრევოლუცია. მაშინ ისმის კითხვა, რაღა საჭიროა მეტნაკლებად დაბრუნება ძველ სოციალურ სტრუქტურებთან, წესრიგთან და რეჟიმთან? რატომ გადიან რეგრესიულ ტრანსფორმაციას ადამიანთა ქცევები, მათი ცირკულაცია საზოგადოებაში, პარტიული დიფერენციაცია, რელიგიურობა, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება?

პასუხი მარტივია, სოციალური წესრიგი არ არის შემთხვევითი, ის წარმოადგენს ადამიანების გარემოსთან და ერთმანეთთან საუკუნეობრივ ურთიერთშეჩვევის პროდუქტს. ეს არის შედეგი ხანგრძლივი მცდელობებისა, შეიქმნას უკეთესი ფორმა სოციალური ორგანიზაციის და ცხოვრების, რაც არ უნდა არასრულყოფილი იყოს ის რადიკალიზმის თვალსაზრისით, მაინც წარმოადგენს რეზულტატს უდიდესი ნაციონალური რეალური გამოცდილების და არა ფიქტიურის. მხოლოდ ადამიანს, რომელიც ღრუბლებში დაფრინავს, შეუძლია წარმოიდგინოს,



რომ საუკუნეების განმავლობაში მიღებული ეს გამოცდილება და ცხოვრების წესი არის წარმოსახვითი, ნონსენსი, გაუგებრობა და ფატალური შეცდომა.

ამ სიტუაციაში შეიძლება მოვიყვანოთ რენანის ცნობილი სიტყვები: “ყოველი დღე ნებისმიერი სოციალური წესრიგის ფუნქციონირებისა თავისი არსით არის საზოგადოების ყველა წევრის პლემბისციტი”. და თუ ის განაგრძობს არსებობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი თანახმაა ამაზე. თუ საზოგადოებაში არსებობს ზუსტად ასეთი წესრიგი და არა სხვანაირი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ არსებულ პირობებში სხვა უფრო აბსოლუტური წესრიგი უფრო რთული განსახორციელებადია.

საზოგადოება, რომელმაც არ იცის როგორ იცხოვროს, როგორ განვითარდეს, და თავი წარმოუდგენია რევოლუციის აკვნად, შეცდომების გამო კარგავს თავისი მოსახლეობის დიდ ნაწილს. ეს არის კონტრიბუცია, რომელსაც მუდამ ითხოვს ყოვლისშემძლე სუვერენი. იმის შედეგად, რაც ყოველივე ზემოთ თქმულს გადახედავს საზოგადოება, თუ მას არ უწერია დალუპვა, ის ისევ იძენს შესაძლებლობას ხელახლა განვითარდეს, იცხოვროს და ეს მოხდება არა ურთიერთმტრობის წყალობით, არამედ იმის წყალობით, რომ საზოგადოება დაუბრუნდება ძველ ტრადიციებს, ინსტიტუტებს, აღმშენებლობას, თანამშრომლობას, სოციალური ჯგუფების ყველა წევრთა ურთიერთგაგებასა და ერთიანობას და თუ საზოგადოებას შეუძლია მიიღოს განვითარების ეს ერთადერთი ფორმა, მაშინ რევოლუცია მიდის თავისი ლოგიკური დასასრულისაკენ და იშლება.

ასეთია ისტორიული დილემის გადაწყვეტა.